თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

3

2013

(ივნისი)

რედაქტორები:	გიორგი სანიკიძე
	ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:	მირანდა ბაშელეიშვილი
	თამთა ბოკუჩავა
	მარიამ გურეშიძე
	სიმონ გურეშიძე
	ინგა ინასარიძე
	თინათინ კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ–ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
http://www.iliauni.edu.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი
და საქართველო 4

თამთა ბოკუჩავა

თურქეთის სამართლიანობისა და განვითარების
პარტიის საგარეო პოლიტიკა 8

თამთა ბოკუჩავა

ხეების დასაცავად დაწყებული საპროტესტო აქცია 12

ინგა ინასარიძე

„ცხელი ზაფხული“ არაბულ ქვეყნებში 16

ინგა ინასარიძე

ეგვიპტისა და ეთიოპიის დაპირისპირება ნილოსის საკითხზე 23

სიმონ გურეშიძე

„თალიბანი“ და „დიდი თამაში“ ავღანეთში 27

მირანდა ბაშელეიშვილი

ავღანეთი ირანის რეგიონულ პოლიტიკაში 32

მარიამ გურეშიძე

ჰიზბ ალლაჰი და სამოქალაქო ომი სირიაში 37

თინათინ კუპატაძე

შირინ ებადი - ნობელის პრემიის ლაურეატი
პირველი მუსლიმი ქალი 41

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი და საქართველო

2013 წლის 14 ივნისს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად უპირობოდ გაიმარჯვა ზომიერმა კონსერვატორმა ჰოჯათოლესლამ ჰასან რუჰანიმ, რომელსაც სრული მხარდაჭერა ჰქონდა რეფორმატორთა ფრთისა და უშუალოდ ირანის ყოფილი პრეზიდენტების, მაჰმუდ აჰმადინეჟადის მთავარი კრიტიკოსების – ალიაქბარ ჰაშემი რაფსანჯანისა და სეიედ მოჰამად ხათამის მხრიდან.

1989 წელს, ირანში ისლამური რევოლუციის 10 წლის თავზე ქვეყნის სულიერი ლიდერის იმამ ხომეინის გარდაცვალების, მის ადგილას იმ დროისათვის მოქმედი პრეზიდენტის აიათოლა სეიედ ალი ხამენეის არჩევისა და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ალიაქბარ რაფსანჯანის გაპრეზიდენტების შემდეგ, ირანში ჩამოყალიბდა გარკვეული ტრადიცია და დღემდე მოყოლებული, ყველა ახლად არჩეული პრეზიდენტი მეორე ვადითაც ინარჩუნებს თანამდებობას და 8 წელი ხელმძღვანელობს ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას. როგორც აიათოლა ალიაქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ (1989–1997წწ), ასევე სეიედ მოჰამად ხათამიმ (1997–2005 წწ) უპრობლემოდ მოიგეს როგორც პირველი, ასევე მეორე არჩევნები, მაჰმუდ აჰმადინეჟადს კი 2005 წელს მხოლოდ არჩევნების მეორე ტურში „არგუნეს“ გამარჯვება ალიაქბარ ჰაშემი რაფსანჯანისთან ბრძოლაში, რისთვისაც ქვეყნის სულიერი ლიდერის მიერ მობილიზებული იყო ყველა არსებული ადმინისტრაციული და იდეოლოგიური რესურსი, რათა რაფსანჯანი მესამედ არ გაპრეზიდენტებულიყო. მაჰმუდ აჰმადინეჟადს 2009 წელსაც ასევე ძალიან გაუჭირდა პოსტის შენარჩუნება რეფორმატორ კანდიდატ მირჰოსეინ მუსავისთან ჭიდილში, რომელსაც გამარჯვებისათვის არ ეყო ოფიციალურად აღიარებული 14 მილიონი ამომრჩევლის ხმა. კვლავ ბელადის მხარდაჭერისა და სახელმწიფო აპარატის ყველა რესურსის გამოყენების წყალობით, მოქმედ პრეზიდენტს 24 მილიონი მხარდამჭერი აღმოაჩნდა. არჩევნების შედეგების გამოცხადებას კი მოჰყვა 2009 წლის ზაფხულის პერმანენტული საპორტესტო გამოსვლები, მსხვერპლი, აქტივისტების დაჭერები და რეფორმატორთა ლიდერების – მირჰოსეინ მუსავისა და ჰოჯათოლესლამ მეჰდი ქარუბის დღემდე შინაპატიმრობაში ყოფნა.

ახლად არჩეული პრეზიდენტი ჰასან რუჰანი უკვე იღებს წერილებს და მიმართვებს სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფებისაგან, რათა ხსენებულ პირებს მოეხსნათ შინაპატიმრობა და უფრო მეტიც – ციხეებიდან გამოუშვან პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულები. საშინაო პოლიტიკაში ჰასან რუჰანის წინაშე მდგარი პრობლემებიდან უმნიშვნელოვანესია ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის საკითხი, რაც წარმოადგენს მისი ამომრჩევლების უმთავრეს მოთხოვნას. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შებღალვა ასევე არის დასავლეთის მხრიდან ისლამური ირანის კრიტიკის ერთ–ერთი მთავარი საგანი.

საგარეო პოლიტიკაში ახალ პრეზიდენტს მოუწევს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დასავლეთთან ურთიერთობების დალაგება. წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლური სანქციები და ემბარგო კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს ქვეყნის ისედაც კრიტიკულ

ზღვრამდე მისულ ეკონომიკას. ყველასთვის ცხადია, რომ ეკონომიკის გაჯანსაღების რუჰანისეული დაპირების აღსრულება დამოკიდებულია საერთაშორისო ასპარეზზე ირანის შებღალული ავტორიტეტისა და უნდობლობის გარემოს გამოსწორებაზე. როგორც 8 ივლისს აღნიშნა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა სეიედ აბას არაყჩიმ, ირანისა და „5+1“ ჯგუფის მოლაპარაკებები ირანის ბირთვული დოსიეს ირგვლივ ჰასან რუჰანის ინაუგურაციის შემდეგ განახლდება, როდესაც იგი მომლაპარაკებელთა ახალ გუნდს შექმნის.

გასულმა 8 წელმა აჩვენა, რომ დასავლეთთან ღია დაპირისპირებამ და მის სანაცვლოდ ჩინეთის, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყნის მიმართულებით ინტენსიური პოლიტიკურ–ეკონომიკური კურსის გატარებამ კარგი არაფერი მოუტანა არც ირანის საგარეო იმიჯს და არც მის ეკონომიკას.

6 ივლისს ავტორიტეტული ირანული ინტერნეტ–გამოცემა საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში www.irandiplomacy.ir პუბლიკაციაში სათაურით „რუჰანი მისი მემუარებით უნდა შეიცნოთ - რუჰანის 700-გვერდიანი წიგნის რჩევები დასავლელი ლიდერებისათვის“, მიუთითებს 5 ივლისს „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ რეი თაქეის (Ray Takeyh) სტატიაზე *What will Iran's new president do? His memoir offers some clues*. აქ იგულისხმება უშიშროების უმაღლესი ეროვნული საბჭოს მდივნის თანამდებობაზე ყოფნისას ჰასან რუჰანის მიერ ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე დასავლეთთან წარმოებული მოლაპარაკებების 2003–2005 წლების პერიოდის ამსახველი, 2011 წელს გამოსული მოგონებების წიგნი, რომელიც ჯერჯერობით არც ერთ ენაზე არაა თარგმნილი. მოსალოდნელია, რომ ახალი რეალობებიდან გამომდინარე, რუჰანის მემუარები სასწრაფოდ ითარგმნება ინგლისურ ან სხვა რომელიმე ევროპულ ენაზე, რათა ახალი პრეზიდენტის მიერ დაწერილი 700 გვერდის ღია ტექსტიდან და უფრო მეტად, მისი ქვეტექსტებიდან დასავლეთმა სცადოს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის სამომავლო სტრატეგიისა და ნაბიჯების პროგნოზირება.

თუ ხსენებული სტატიის მიხედვით, დასავლეთი ჰასან რუჰანის მემუარების მეშვეობით უნდა ჩასწვდეს ირანის ახალი პრეზიდენტის ქცევისა და აზროვნების სიღრმისეულ შრეებს, ამ მხრივ, საქართველოსთვის ირანის ახალი პრეზიდენტის მოგონებანი ბირთვულ საკითხებზე მოლაპარაკებების თაობაზე შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი არც იყოს, მით უმეტეს, რომ საქართველო აშშ–სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან (5+1) ირანის ისლამური რესპუბლიკის ბირთვული მოლაპარაკებების მხოლოდ გარე მაყურებელია, მას მოგვიანებით სხვადასხვა ფორმითა და დოზით უწევს გაერო–ს მიერ ირანისათვის დაწესებული სანქციებისათვის ფეხის აყოლება.

ზემოთქმულის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებასაც გააჩნია ჰასან რუჰანისთან პირდაპირი ურთიერთობის საკმაოდ მრავალფეროვანი გამოცდილება, რომელიც უკავშირდება 1995 და 2001 წლებს, როდესაც ირანის ახალი პრეზიდენტი ჯერ ისლამური საბჭოების მეჯლისის ვიცე–სპიკერის, ხოლო შემდეგ ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნის რანგში, ორჯერ სტუმრობდა ოფიციალური ვიზიტით საქართველოს, ერთხელ კი (1995 წელს) თავად მასპინძლობდა საქართველოს პარლამენტის დელეგაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ 1989 წლიდან მოყოლებული, ჰასან რუჰანი იმყოფება ეროვნული უშიშროების საბჭოში, როგორც ქვეყნის სულიერი ლიდერის სეიედ ალი ხამენეის პირადი წარმომადგენელი ამ ორგანოში, ხოლო 1992 წლიდან ხელმძღვანელობს სტრატეგიული კვლევების ცენტრს. აქედან გამომდინარე, მეჯლისის

ვიცე-სპიკერის რანგში ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებისას, საუბრის თემატიკა არ იფარგლებოდა მხოლოდ საპარლამენტო საკითხებით.

ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა პატივი, უშუალო მონაწილეობა მიეღო ხსენებული ვიზიტების ორგანიზებაში და ეწარმოებინა ოფიციალური თუ პრივატული შეხვედრების თარგმანი.

ქვემოთ შემოვიფარგლები ამ ვიზიტების ძირითადი მომენტების ჩამონათვალით. წინასწარ შევნიშნავ, რომ შესაძლოა, ამ ჩამონათვალში გამორჩენილი იყოს ზოგიერთი ტექნიკური დეტალი. ყოველივე ამის მოძიება იოლადაა შესაძლებელი საქართველოს შესაბამისი უწყებების არქივებში.

1. 1995 წლის 2–5 იანვარს შედგა საქართველოს პარლამენტის ვიცე–სპიკერის ვახტანგ გოგუაძის და თანმხლები დელეგაციის ვიზიტი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ქართველი კოლეგის უშუალო მასპინძელი იყო ირანის მეჯლისის ვიცე–სპიკერი ჰასან რუჰანი. ქართული დელეგაციას ჰქონდა შეხვედრები ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ალიაქბარ ჰაშემი რაფსანჯანისთან, მეჯლისის თავმჯდომარესთან, ჰოჯათოლესლამ ალიაქბარ ნათეყ ნურისთან და თავად ვიცე–სპიკერ ჰასან რუჰანისთან. ქართული დელეგაციის წევრთა შორის იყვნენ დეპუტატები: აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომან მიმინოშვილი და შალვა ნათელაშვილი. ქართულ დელეგაციას 1 დღით უმასპინძლა შირაზში ფარსის პროვინციის გუბერნატორმაც. ყველა ოფიციალური შეხვედრა ჩატარდა უაღრესად გულთბილ ატმოსფეროში. ვიზიტის პროგრამაში შეტანილი იყო საინტერესო კულტურული პროგრამაც.

2. 1995 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში შედგა ირანის მეჯლისის დელეგაციის საპასუხო ვიზიტი საქართველოში. მეჯლისის ვიცე–სპიკერს ჰასან რუჰანის თან ახლდნენ საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე ჯავად ლარიჯანი (ირანის მეჯლისის ამჟამინდელი თავმჯდომარის ძმა, ერთ დროს გაერო–ში ირანის მუდმივი წარმომადგენელი. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს ირანის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს), სხვა რამდენიმე დეპუტატი და ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, ირანის ისლამური რესპუბლიკის არც ერთი სახელმწიფო უწყების დელეგაციის საერთაშორისო ვიზიტი არ ტარდება საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე. ჰასან რუჰანი და თანმხლები დელეგაცია მიიღეს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ და პარლამენტის ვიცე–სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ. თბილისური შეხვედრების შემდეგ ირანული დელეგაცია ბათუმში გადაფრინდა. აეროპორტში ჰასან რუჰანის დახვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე, საკუთარი შვილიშვილით ხელში (პროტოკოლის ამ ორიგინალური ფორმით შემდეგ იგი დახვდა 1995 წლის აპრილში ბათუმში ჩასულ ირანის პრეზიდენტს ალიაქბარ ჰაშემი რაფსანჯანისაც). ბათუმის სასტუმრო „ინტურისტში“ გაიმართა ასლან აბაშიძისა და ჰასან რუჰანის საუბარი და სადილი. შემდეგ ირანულმა დელეგაციამ გაისეირნა ბათუმის ბულვარზე, სადაც მათ დამსვენებლებმა მოუწყვეს თბილი შეხვედრა. იმავე დღეს ბათუმიდან ირანული დელეგაცია წაიყვანეს ფოთში, სადაც ფოთის პორტის ხელმძღვანელმა ვალერი გეგიძემ სტუმრებს კატერით დაათვალიერებინა პორტის აკვატორია და გააცნო ამ მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ობიექტის მახასიათებლები და განვითარების პერსპექტივები.

3. 2001 წლის ივლისში უკვე ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნის რანგში ჰასან რუჰანი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. მისი უშუალო მასპინძელი იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია. ჰასან რუჰანის თანმხლები დელეგაციის წევრთა შორის იყვნენ ირანის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების მაღალი თანამდებობის პირებიც. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ჰასან რუჰანის შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან, თავდაცვის მინისტრთან დავით თევზაძესთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან ნუგზარ საჯაიასთან. ვიზიტის შედეგად რაიმე ოფიციალური დოკუმენტი არ ხელმოწერილა, თუმცა ირანულმა მხარემ წარმოადგინა უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი. კრწანისის რეზიდენციაში, სადაც დაბინავებული იყვნენ სტუმრები, ჰასან რუჰანიმ ინტერვიუ მისცა საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტს. ვიზიტის ფარგლებში ჰასან რუჰანიმ მოინახულა აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, სადაც გაიმართა შეხვედრა ქართველ აღმოსავლეთმცოდნე–ირანისტებთან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ირანის უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნებს ჰქონდათ დამოუკიდებელი შეხვედრა საქართველოს უშიშროების მინისტრთან ვახტანგ ქუთათელაძესთან, მის მოადგილესთან, ჯემალ გახოკიძესთან და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ავთანდილ იოსელიანთან.

როგორც ამ მოკლე და მშრალი ინფორმაციიდან ჩანს, ბატონმა ჰასან რუჰანიმ არაერთი საათი გაატარა საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში. აქედან გამომდინარე, ნამდვილად საჭირო საქმეა საქართველოს პარლამენტის, უშიშროების საბჭოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში ამ ვიზიტებთან დაკავშირებული მასალების მოძიება და ხელახლა გაანალიზება, რათა ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა მთავრობამ უკეთ გამოიმუშაოს ირანის აღმასრულებელი ხელისუფლების ახალ ხელმძღვანელთან და მის მინისტრთა კაბინეტთან ურთიერთობის დაბალანსებული და რეალისტური ფორმატი, მით უმეტეს, რომ 1989 წლიდან ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ირანის ახალი პრეზიდენტი ჰოჯათოლესლამ ჰასან რუჰანი ორი ვადით ანუ 8 წლით უხელმძღვანელებს ჩვენი რეგიონის ერთ–ერთ ანგარიშგასაწევ ქვეყანას.

გამოყენებული მასალები:

http://www.irdiplomacy.ir/newsletter/fa/page/1918237/%D8%B1%D9%88%D8%AD%D8%A7%D9%86%DB%8C+%D8%B1%D8%A7+%D8%A8%D8%A7%DB%8C%D8%AF+%D8%A8%D8%A7+%D8%AE%D8%A7%D8%B7%D8%B1%D8%A7%D8%AA%D8%B4+%D8%B4%D9%86%D8%A7%D8%AE%D8%AA+.html
http://articles.washingtonpost.com/2013-07-05/opinions/40382689_1_nuclear-program-iran-s-regime

თამთა ბოკუჩავა

თურქეთის სამართლიანობისა და განვითარების პარტიის საგარეო პოლიტიკა

თითქმის ორი წლის წინ, არაბული გაზაფხულის დასაწყისში, ინგლისურ და არაბულ მედიაში პოპულარული გახდა ე.წ. „თურქული მოდელის“ გავრცელების საკითხი, რასაც თურქეთის ხელისუფლება აქტიურად უჭერდა მხარს. მდგომარეობა შეიცვალა სირიის სამოქალაქო ომის გაჭიანურების შემდეგ, როდესაც თურქეთი იძულებული გახდა გადაეხედა „მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების“ საგარეო პოლიტიკისათვის და დაეწყო შედარებით უფრო ხისტი პოლიტიკის გატარება სირიასთან მიმართებაში, განსაკუთრებით თურქეთში სირიული რაკეტების ჩამოვარდნის შემდეგ.

თურქეთის დღევანდელი მმართველი პარტიის, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP), საგარეო პოლიტიკური კურსი საკმაოდ ამბიციურია და გათვლილია შორეულ მომავალზე. მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წინამორბედებმა: ნეჯმეთინ ერბაქანის კეთილდღეობის პარტიამ და ღირსების პარტიამ.

სამართლიანობისა და განვითარების პარტია, ისევე როგორც ღირსების პარტია მანამდე, კეთილდღეობის პარტიის შთამომავლებს წარმოადგენენ. თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერები პოლიტიკურ ასპარეზზე სწორედ ერბაქანის პარტიის რიგებიდან გამოვიდნენ. შესაბამისად AKP–ს საგარეო პოლიტიკური კურსი მჭიდროდ არის დაკავშირებული კეთილდღეობის პარტიის პოლიტიკურ ხედვებთან.

კეთილდღეობის პარტია ხელისუფლების სათავეში 1996 წელს მოვიდა და მისი საგარეო პოლიტიკური კურსი იდენტობაზე დამყარებულ ხედვას ეყრდნობოდა. ამ კურსის მიხედვით, დასავლეთი და მუსლიმური სამყარო ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენენ. ერბაქანის მმართველობის პერიოდში აქტუალური გახდა აგრეთვე საერთაშორისო სისტემის კრიტიკაც, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის ინტერესებზეა ორიენტირებული. ასეთი სისტემის საპასუხოდ ერბაქანმა წამოაყენა ედეა, შექმნილიყო ალტერნატიული, ისლამური სისტემა. კეთილდღეობის პარტია მოუწოდებდა ისლამური გაერო-ს, იუნესკო-ს, საერთო ბაზრისა და ერთიანი ვალუტის – დინარის შემოღებისკენ. ერბაქანი ამ სისტემაში თურქეთს ხედავდა, როგორც ერთადერთ ლიდერს, რაზეც თურქეთის იმპერიულ წარსულზე დაყრდნობით აპელირებდა.

კეთილდღეობის პარტიის საგარეო პოლიტიკა ყურადღებას ამახვილებდა საერთაშორისო ურთიერთობებში ინდივიდუალური აქტორების მნიშვნელობაზე და მიმართული იყო თურქეთის ინტერესებისა და ღირებულებების დასაცავად. ამგვარი საგარეო პოლიტიკა უნდა გამხდარიყო პირველი ნაბიჯი თურქეთის მიერ გავლენის გაზრდასა და მაქსიმალურად მოქნილი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების გზაზე.

თუმცა, კეთილდღეობის პარტიამ ვერ მოახერხა საკუთარი ხედვის ცხოვრებაში განხორციელება, რაც ნაწილობრივ სამხედროების უარყოფითი პოზიციით იყო განპირობებული. სამხედრო ფენა, თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში. სამხედროები ერთგვარ გარანტორებს წარმოადგენენ იმისა, რომ ქვეყანა არ გადაუხვევს ათათურქის მიერ დასახული გზიდან და ქემალ ფაშას პრინციპების ერთგული დარჩება. შესაბამისად, ერბაქანის აშკარა პროისლამისტური განცხადებები ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებას იწვევდა. ამასთან კეთილდღეობის პარტიამ არჩევნებში მხოლოდ ხმათა 1/5 მოიპოვა და იძულებული გახდა ჩამოეყალიბებინა კოალიციური მთავრობა თანსუ ჩილერის ჭეშმარიტების გზის პარტიასთან

ერთად. ხელისუფლების განაწილების წინასწარი შეთანხმების მიხედვით საგარეო სამინისტრო თანსუ ჩილერის პარტიის ხელში აღმოჩნდა და შესაბამისად, თურქეთის საგარეო კურსი უმეტესად პროდასავლური დარჩა.

ყველაფრის მიუხედავად, ერბაქანი აქტიურად ეწეოდა საკუთარი საგარეო პოლიტიკური ხედვის პროპაგანდას. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ იგი, პირველ რიგში, ვიზიტით ჩავიდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ირანი, პაკისტანი, ინდონეზია, მალაიზია. მისი გამოსვლები გამოირჩეოდა დასავლეთისა და საერთაშორისო სისტემის მკაცრი კრიტიკით.

1997 წელს კოალიციური მთავრობა დაიშალა, ხოლო ნეჯმეთინ ერბაქანს დროებით პოლიტიკური მოღვაწეობა აეკრძალა. კეთილდღეობის პარტია ღირსების პარტიად გადაკეთდა.

ღირსების პარტია ერთგვარი გარდამავალი პარტია იყო, რომელიც ძირითადად ერბაქანის ახლო მიმდევრებისა და თურქული პოლიტიკური ისლამის ახალგაზრდა წარმომადგენლების დაპირისპირების ადგილს წარმოადგენდა. სწორედ ამ ახალგაზრდა ისლამისტებმა დააარსეს შემდგომში სამართლიანობისა და განვითარების პარტია.

კეთილდღეობის პარტიისაგან განსხვავებით, ღირსების პარტიის საგარეო პოლიტიკური კურსი უპირველეს ყოვლისა ეფუძნებოდა ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობას. ასეთივე პოლიტიკას ატარებდა სამართლიანობისა და განვითარების პარტია მმართველობის დასაწყისში.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ბირთვი 2001 წელს სწორედ ღირსების პარტიის რიგებიდან გამოსულმა ახალგაზრდა ისლამისტებმა ჩამოაყალიბეს. 2002 წლის არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, AKP ხელისუფლების სათავეში მოვიდა. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოლიტიკური ხედვა მთლიანად იყო განპირობებული კეთილდღეობისა და ღირსების პარტიების რიგებში მიღებული გამოცდილებით. პარტიის პოლიტიკური კურსი თავდაპირველად მიმართული იყო ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობის დარეგულირებისაკენ. ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებას; უსამართლობასთან, კორუფციასა და არათანასწორუფლებიანობასთან ბრძოლას. ხელისუფლების სათავეში მოსული სამართლიანობისა და განვითარების პარტია აქტიურად მოუწოდებდა რელიგიური ტოლერანტობის, ლიბერალური ეკონომიკისა და დემოკრატიისაკენ. ამან მმართველი პარტიისადმი არამარტო კონსერვატორების, არამედ ლიბერალების მხარდაჭერა განაპირობა, რამაც თავის მხრივ, საშუალება მისცა პროისლამურ პარტიას შეენარჩუნებინა ხელისუფლება სეკულარულ სახელმწიფოში.

AKP–ს მმართველობის დასაწყისში, ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე ორიენტირებული პოლიტიკის ნათელი მაგალითია ერაყის ომი. აშშ–ს საჯარისო შენაერთების თურქეთის სამხედრო ბაზებზე განთავსებამ, თურქეთის პოლიტიკურ პარტიებს შორის საგრძნობი დაპირისპირება გამოიწვია. AKP ოფიციალურად უჭერდა მხარს აშშ–ის შეჭრას ერაყში, მაგრამ ამავდროულად მას აშფოთებდა ის გარემოება, რომ ამერიკის ინტერვენცია თურქეთისათვის არასასურველ გავლენას იქონიებდა ერაყის ქურთულ რეგიონზე. ქურთები აქტიურად უჭერდნენ მხარს აშშ–ის პოლიტიკას ერაყის მიმაერთებით. ახალი რეჟიმის შემთხვევაში შესაძლებელი იყო, ქურთებს განსაკუთრებული პოზიციები მოეპოვებინათ, რაც საპასუხო რეაქციას გამოიწვევდა თურქეთის ქურთულ რეგიონში. თურქეთს მიაჩნდა, რომ აშშ–სადმი მხარდაჭერის გამოხატვა რამდენადმე შეამცირებდა ამ არასასურველ ეფექტს, მაგრამ მთავრობის პოზიციამ დაპირისპირება გამოიწვია მმართველი პარტიის რიგებშიც, რომლებიც არ აღმოჩნდნენ მზად მხარი დაეჭირათ აშშ–ის ინტერვენციისათვის მეზობელ ისლამურ სახელმწიფოში. AKP–მ ომის მხარდაჭერის საკითხი განსახილველად მეჯლისში გაიტანა. მართალია საკითხმა ხმათა უმრავლესობა დააგროვა, მაგრამ ვერ მოიპოვა საჭირო აბსოლუტური უმრავლესობა. სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ სწრაფად შეცვალა კურსი, დაეთანხმა რა პარლამეტის ამგვარ გადაწყვეტილებას.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა აგრეთვე „მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების“ პოლიტიკაც, რაც პრიორიტეტს ქვეყნის შიგნით არსებული საკითხების გადაჭრას ანიჭებდა, ხოლო

მეზობლებთან, ირანთან, სირიასთან დამთბარი ურთიერთობები, სავაჭრო ურთიერთობების გამყარების საწინდარი გახდა.

რამდენიმე წელიწადში AKP–მ შეძლო როგორც ეკონომიკის, ისე ადგილობრივი პოლიტიკური გარემოს სტაბილიზაცია, რამაც მთავრობას უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. მმართველი პარტიის საგარეო პოლიტიკური კურსი ნათლად აისახება თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნაშრომებში. აჰმედ დავუთოღლუ ხაზს უსვამს თურქეთის ისტორიულ როლსა და უნიკალურ გეოპოლიტიკურ მდებარეობას, რამაც მრავალმხრივი საგარეო პოლიტიკის გატარებასთან ერთად საშუალება უნდა მისცეს თურქეთს გახდეს „ცენტრალური ძალა“. „მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების“ პოლიტიკა უნდა ყოფილიყო პირველი ნაბიჯი, რომელიც შეამცირებდა რეგიონში არსებულ დაძაბულობას, გააძლიერებდა რეგიონალურ ურთიერთობებს და ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას. ამის ფონზე თურქეთი თავის თავს ხედავს, როგორც მედიატორს საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც ისარგებლებს გაფართოებული სტატუსით როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ამგვარი მიდგომის ნათელი მაგალითია 2005–2007წწ. ერდოღანის შეხვედრები ისრაელისა და პალესტინის წარმომადგენლებთან. ასევე 2007წ. შუამდგომლობა ისრაელსა და სირიას შორის არაპირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებაში.

2009 წელს დავუთოღლუმ იშუამდგომლა სერბეთსა და ბოსნიას შორის მოლაპარაკებებში, რის შედეგადაც სერბეთის პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია სრებრენიცას შესახებ, რაც სრებრენიცაში მომხდარი გენოციდისათვის ოფიციალურად ბოდიშის მოხდას ნიშნავდა, ხოლო ბოსნიამ საპასუხოდ გახსნა საელჩო სერბეთში.

2010 წელს თურქეთმა ბრაზილიასთან ერთად აწარმოა მოლაპარაკებები ირანთან, რის შედეგადაც ირანმა საკვლევი რეაქტორის საწვავის სანაცვლოდ უარი თქვა 1 200კგ. დაბალი პროცენტით გამდიდრებულ ურანზე.

არაბული გაზაფხული თურქეთის მთავრობამ აღიქვა, როგორც შესაძლებლობა თურქეთის გავლენისა და მნიშვნელობის კიდევ უფრო გასაზრდელად. არაბული გაზაფხულის პირველ პერიოდში თურქეთმა ყურადღება ახლო აღმოსავლეთზე გადმოიტანა და დაიწყო საკუთარი თავის პოზიციონირება, როგორც რეგიონის ლიდერის, ლიბერალურ–დემოკრატიული ღირებულებების მქონე მუსლიმური სახელმწიფოსი.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სირიის კონფლიქტმა ნათელი გახადა AKP–ს საგარეო პოლიტიკურის ნაკლოვანებები. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ბაშარ ალ–ასადი არ იყო თანახმა გაეტარებინა ცვლილებები, რომლისკენაც მას ასე აქტიურად მოუწოდებდნენ, თურქეთის განცხადებები სულ უფრო და უფრო ხისტი გახდა. დღეს ერდოღანი არის სირიის მმართველი რეჟიმის ერთ–ერთი ყველაზე მკაცრი კრიტიკოსი. კონფლიქტის გაჭიანურებასთან ერთად თურქეთის რეგიონალური პოლიტიკა სულ უფრო ცალსახა და ხისტი ხდება, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს „მეზობლებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას“.

ამასთან, არც თუ ისე მყარმა რეგიონალურმა კავშირებმა, რომლებიც თურქეთს მედიატორის ფუნქციების შესრულების შესაძლებლობას აძლევდა, ზიანი განიცადეს. თურქეთის საგარეო პოლიტიკამ დაკარგა ის სიღრმე და მრავალმხრივობა, რომელიც მას ჰქონდა რეგიონალურ ურთიერთობებში, შესაბამისად თურქეთის ურთიერთობები სირიასთან, ირანთან, ერაყთან, ჰეზ-ბოლასთან და ლიბანთან მკვეთრად გაუარესდა. ირანი არ ეთანხმება თურქეთის პოზიციას სირი-ასთან დაკავშირებით და მხარს უჭერს ასადის რეჟიმს. ერაყის მთავრობისათვის მიუღებელი აღმოჩ-ნდა თურქეთის გაღრმავებული ურთიერთობები ქურთისტანის რეგიონალურ მთავრობასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეზობლებთან აშკარად გაუარესებული ურთიერთობების მიუხედავად, თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს ჩრდილო აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან. აჰმედ დავუთოღლუს განცხადების მიხედვით კი, თურქეთის არსებული პოზიცია სირიასთან მიმართებაში მომავალზეა გათვლილი. თურქეთი დიდ

იმედებს ამყარებს სირიის ახალ ხელისუფლებაზე, რომელმაც უნდა შეცვალოს არსებული რეჟიმი. შესაბამისად თურქეთი დიდ როლს ითამაშებს ასადის შემდგომი სირიის ჩამოყალიბებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა AKP დიდ ყურადღებას უთმობს აფრიკის ქვეყნებთან ურთიერთობებს. 2013 წლის იანვარში პრემიერმინისტრი ერდოღანი ვიზიტით ეწვია გაბონს, ნიგერიას და სენეგალს. ოფიციალურ განცხადებაში მან განაცხადა, რომ თურქეთის მიზანია გაზარდოს ვაჭრობა აფრიკის ქვეყნებთან 50 მილიარდამდე.

გარკვეული უკანდახევის მიუხედავად, თურქეთი კვლავ ცდილობს გაამყაროს თავისი პოზიცია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების კუთხით; თუმცა ამ უკანდახევამ მკვეთრად შეამცირა თურქეთის აქტიურობა საერთაშორისო ასპარეზზე.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ უარი თქვა კეთილდღეობის პარტიის პოლიტიკურ ხედვაზე, რომელიც მხოლოდ ისლამურ სამყაროში ლიდერობაზე იყო ორიენტირებული; თუმცა ხელუხლებელი დატოვა ის ნაწილი სადაც მოქნილობა და უნიკალური საერთაშორისო როლი საშუალებას მისცემს თურქეთს გაზარდოს თავისი გავლენა. თუ ერბაქანი ცდილობდა არსებული სისტემის პარალელური შეექმნა, სადაც თურქეთი იქნებოდა „ლიდერი ქვეყანა“, AKP თურქეთს ხედავს როგორც ხელისუფლებებს შორის დამაკავშირებელ მექანიზმს და იყენებს თავის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, რათა გახდეს „ცენტრალური ძალა“ უკვე არსებულ საერთაშორისო სისტემაში.

თურქეთის პოლიტიკური ისლამი თურქეთს ხედავს როგორც ერთ–ერთ ძირითად მოთამაშეს საერთაშორისო სისტემაში. სწორედ ეს მიზანი აერთიანებს კეთილდღეობისა და სამართლიანობისა და განვითარების პარტიებს. AKP–ს მიერ არჩეული კურსი ობიექტურად ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მათ მოახერხეს პრიორიტეტების სწორად განლაგენა, გაამახვილეს რა ყურადღება ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე მმართველობის დასაწყისში, რითაც თავიდან აიცილეს დაპირისპირება ქემალისტური პრინციპების მიმდევარ სამხედროების ფენასთან; ხოლო აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება უკვე ქვეყნის შიგნით პოზიციების გამყარების შემდეგ დაიწყეს.

თუმცა სირიის კონფლიქტმა ნათელი გახადა, რომ თურქეთის არსებული საგარეო პოლიტიკური კურსი ვეღარ პასუხობს ყველა იმ გამოწვევას, რომლის წინაშეც დგას დღეს ქვეყანა. ამასთან ქვეყნის შიგნით ანტისამთავრობო გამოსვლებმა ნათლად აჩვენა, რომ გარკვეული დადებითი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძვრების მიუხედავად, საზოგადოება არ არის მზად შეეგუოს მმართველი პარტიის ბოლო პერიოდში გამკაცრებულ პროისლამისტურ პოლიტიკას. მიმდინარე მოვლენები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ უდიდესი გამოწვევაა სამართლიანობისა და განვითარების პარტიისათვის, რამაც უნდა განსაზღვროს მმართველი პარტიის მომავალი საშინაო თუ საგარეო კურსი, რომეც მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით გარკვეულ სახეცვლას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

http://edition.cnn.com/2012/06/27/opinion/akyol-turkey-syria
http://www.merip.org/mer/mer199/turkish-islam-national-identity
http://www.brookings.edu/research/papers/2012/04/24-turkey-new-model-taspinar
http://www.sabah.com.tr/Perspektif/Yazarlar/ete/2012/09/29/ak-parti-iktidarini-donemsellestirme
http://www.economist.com/node/16847136
Cengiz Dinç, The Welfare Party, Turkish Nationalism and its Vision of a New World Order, Alternatıves: Turkish Journal of International Affairs, Vol.5 No 3(2006)
Şaban Tanıyıcı, Transformation of Political Islam in Turkey: Islamist Welfare Party's Pro-EU Turn, Party Politics, Vol. 9, No. 4 (2003)
Kemal Kirişçi, Between Europe and the United States: The Transformation of Turkish Foreign Policy, Middle East Review of International Affairs, Vol. 8, No. 1 (2004)
Bülent Araş, he Davutoglu Era in Turkish Foreign Policy, Insight Turkey, Vol. 11, No. 3 (2009)
Şaban Kardaş, From Zero Problems to Leading the Change: Making Sense of Transformation in Turkey's Regional Policy, Turkey Policy Brief Series (2012)

თამთა ბოკუჩავა

ხეების დასაცავად დაწყებული საპროტესტო აქცია

გასულ თვეში, თურქეთში მიმდინარე მოვლენებმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. მაისის თვის ბოლოს ხეების დასაცავად გამართული აქცია, ივნისში სწრაფად გადაიზარდა ანტისამთავრობო და პოლიციის სისასტიკის საწინააღმდეგო გამოსვლებში.

<u>გეზის პარკის პროექტი</u>

2013 წლის დასაწყისში თურქეთის პრემიერმინისტრმა, რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა, წარადგინა სტამბოლში გეზის პარკის ახალი პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, ტაქსიმის მოედანი საფეხმავლო ზონა უნდა გამხდარიყო, ხოლო გეზის პარკის და ათათურქის კულტურის ცენტრის ადგილზე ახალი სავაჭრო ცენტრი უნდა აშენებულიყო. სავაჭრო ცენტრს ოსმალეთის პერიოდის სამხედრო ყაზარმების სახე უნდა ჰქონოდა, რომელიც ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა 1940 წლამდე. პროექტმა თავიდანვე უკმაყოფილება გამოიწვია. გეზის პარკი ერთ–ერთი ყველაზე პატარაა სტამბოლში და არც თუ ისე მოვლილი, მაგრამ იგი უკანასკნელი გამწვანების ზონაა ტაქსიმი-ბეიოღლუს რაიონებში. ამასთან თავისი გავლენა იქონია აგრეთვე იმანაც, რომ სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად უნდა დაენგრიათ ათათურქის კულტურის ცენტრი, რომელსაც უდიდესი ისტორია აკავშირებს ქალაქთან. თავდაპირველად პროექტის მოწინააღმდეგეები პეტიციაზე ხელმოწერებს აგროვებდნენ, მაგრამ ხელმოწერების შეგროვების მიუხედავად მათ ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

<u>დაპირისპირება პოლიციასთან</u>

ვითარება შეიცვალა 28 მაისს, როდესაც პარკის დასაცავად კარვებით მისული 50–მდე დემონსტრანტის წინააღმდეგ პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. შემდგომ დღეებში აქციაში მონაწილეთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა და გაჟღერდა პირველი ანტისამთავრობო ლოზუნგებიც. 31 მაისს მოხდა ახალი მაშტაბური შეტაკება პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის. დაშავებულთა რიცხვმა 100 გადააჭარბა. მათ შორის იყო თურქეთის პარლამენტის წევრი სირრი სურეია ონდერი, რომელიც საავადმყოფოში აღმოჩნდა მას შემდეგ რაც მხარში მოხვდა ცრემლსადენი გაზის კაპსულა. საპასუხოდ დემონსტრანტებმა დაიწყეს ქვების სროლა პოლიციის წინააღმდეგ. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ვანდალიზმის ფაქტებსაც. მშვიდობიანად დაწყებული აქცა მალევე გადაიზარდა ქაოსში.

ივნისის დასაწყისში საპროტესტო გამოსვლები მთელ თურქეთს მოედო. პროცესში ჩართული აღმოჩნდა ქვეყნის 81 პროვინციიდან 78. მაშტაბურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდათ ანკარაში, იზმირში, მერსინში და ა.შ.

15-16 ივნისს პოლიციამ განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია გეზის პარკში შეკრებილი დემონსტრანტები. 17 ივნისს ბეშიქთაშში არსებული აბას აღას პარკი მეორე გეზის პარკად გამოცხადდა და აქციის მონაწილეებს აქ შეკრებისაკენ მოუწოდეს. აქ შეკრებილმა დემონსტრანტებმა დაიწყეს სამოქალაქო ფორუმის ჩამოყალიბება, რომელსაც უნდა განესაზღვრა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სიტუაციის განმუხტვა. მოკლე დროში ამგვარი ფორუმები შეიკრიბა სტამბოლის თითქმის ყველა პარკში. 16 ივნისს პოლიციამ დაიკავა გეზის პარკი და მოახდინა მისი ბლოკირება, რის შემდეგაც ათიათასობით დემონსტრანტი იკრიბებოდა სტამბოლის სხვადასხვა უბნებში გეზის პარკის მხარდასაჭერად ჩატარებულ აქციებზე (ძირითადად საღამოს 9 საათის შემდეგ). ასეთი აქციები მიმდინარეობდა ბეშიქთაშში, უსკუდარში, ზეითინბურნუში (ეს უკანასკნელი მიჩნეულია ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატული უბნად), ასევე სტამბოლის

გარეუბნებში: ბეილიქდუზუში, ქუჩუქჩექმეჯეში, ფენდიქში, ქართალში, უმრანიეში, ბეიქოზში, ესენლერში.

29 ივნისს მოეწყო ფართომაშტაბიანი აქციები სტამბოლსა და ანკარაში. აქციის მონაწილეები დაკავებული პოლიციელის, აჰმედ შაჰბაზის განთავისუფლებას აპროტესტებდნენ. ამ უკანასკნელმა ცრემლსადენი გაზის კაფსულა თავში ესროლა ადამიანის უფლებათა დამცველი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრ ეთემ სარისულუქს, რომელიც მიღებული ტრავმის შედეგად გარდაიცვალა.

საერთო ჯამში მიმდინარე არეულობების დროს 10–მდე ადამიანია დაღუპული, მათ შორის ერთი პოლიციელი, ხოლო დაშავებულთა რიცხვმა 5 000 გადააჭარბა. უმეტესობა ცრემლსადენი გაზის ჭარბი კონცენტრაციისაგან არის დაშავებული, თუმცა დიდია მოკლე დისტანციიდან ცრემლსადენი გაზის კაფსულის მოხვედრის ან ასფალტზე დაცემის შედეგად მიღებული ტრავმების რიცხვიც.

<u>მთავრობის პოზიცია</u>

თურქეთის მმართველი პარტია თავიდანვე მკაცრ განცხადებებს აკეთებდა მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების წინააღმდეგ. გეზის პარკი არ არის პირველი ამბიციური პროექტი პრემიერმინისტრ ერდოღანისათვის. არსებობს კიდევ ბოსფორის სრუტის პარალელური არხის გაჭრის პროექტი, ბოსფორის სრუტეზე რიგით მესამე, სულთან სელიმ I იავუზის (მრისხანეს) სახელობის ხიდის აშენების პროექტი. 29 მაისს, სწორედ ამ ხიდის მშენებლობის საზეიმო გახსნაზე გააკეთა პირველი განცხადება ერდოღანმა: „რაც არ უნდა მოიმოქმედოთ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ჩვენ მას განვახორციელებთ“. 1 ივნისს პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ ნებისმიერი 20 დემონსტრანტის სანაცვლოდ მას შეუძლია 200 000 პარტიის მომხრის გამოყვანა, ხოლო იქ, სადაც 100 000 შეიკრიბებოდა, იგი მილიონს მიიყვანდა. იმ დროს როდესაც პრემიერმინისტრის პოზიცია ხისტი რჩებოდა და გამორიცხავდა რაიმე სახის კონსენსუსს, საპროტესტო აქცია ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაიზარდა და ლოზუნგი „შევინარჩუნოთ ხეები“ შეიცვალა მთავრობის გადადგომის მოთხოვნით.

4 ივნისს პრემიერმინისტრის მოადგილემ ეკონომიკის დარგში, ალი ბაბაჯანმა განაცხადა, რომ მთავრობა პატივს სცემს მშვიდობიანი აქციის გამართვის უფლებას, მაგრამ იგი აგრეთვე ვალდებულია დაიცვას საკუთარი მოსახლეობა ძალადობისგან. შესაბამისად, პოლიციის ქმედებები შეფასდა მხოლოდ როგორც სავალდებულო ღონისძიებები აქციის მონაწილეთა ვანდალური აქტების წინააღმდეგ.

8 ივნისს განცხადება გააკეთა აგრეთვე სტამბოლის მერმაც: „ჩვენ არ ვფიქრობთ ამ ადგილზე სავაჭრო ცენტრის აშენებას, ეს შეიძლება იყოს... ქალაქის მუზეუმი ან სულაც საგამოფენო ცენტრი“.

მას შემდეგ რაც პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირებამ უკიდურესად სასტიკი ხასიათი მიიღო, თურქეთის პრემიერმინისტრი აქციის მონაწილეებს ტერორისტებად მოიხსენიებდა და ხაზს უსვამდა, რომ რაიმე სახის კომპრომისი გამორიცხული იყო. იგი ასევე მკვეთრად რეაგირებდა ტაქსიმისა და თაჰრირის მოედნების შედარებაზე და გამორიცხავდა არაბული გაზაფხულის ტალღის გავრცელებას თურქეთში, „ეს არ არის რევოლუცია, ეს არ არის ამბოხი და ეს ნამდვილად არ არის „თურქული გაზაფხული“, ახლა ზაფხულია,“– განაცხადა თურქეთის პრემიერმინისტრმა.

ივნისის მიწურულს რეჯეფ ტაიპ ერდოღანი განცხადებებში ხშირად გამოთქვამდა ეჭვს მიმდინარე არეულოების მესამე ძალის მიერ მართვის შესახებ. ბესირ ალთაიმ კი თავის განცხადებაში საპროტესტო გამოსვლები ებრაული დიასპორის მიერ ინიციირებულად გამოაცხადა.

<u>რელიგია და სეკულარიზმი</u>

თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები ხშირად დადის კონსერვატული პროისლამისტებისა და სეკულარიზმის მომხეების დაპირისპირებამდე. იმის მიუხედავად, რომ

მიმდინარე მოვლენები მხოლოდ ამ ფუნდამენტური დაპირისპირებით არ აიხსნება, არც ამ უკანასკნელის ნაკლებობით გამოირჩევა. გეზის პარკში შეკრებილთა აბსოლუტური უმრავლესობა სეკულარიზმის მომხრე საზოგადოების ნაწილს წარმოადგენდა. პრემიერმინისტრის განცხადებების ნაწილი სწორედ ამ ფაქტის წინააღმდეგ იყო მიმართული, როდესაც იგი ხაზს უსვამდა, რომ დემონსტრანტები მხარს უჭერენ ათათურქის პრინციპებზე აგებულ მოძველებულ რეჟიმს, მით უმეტეს, რომ ეს რეჟიმი 1920–იან წლებში უმცირესობამ უმრავლესობას მოახვია თავს.

სტამბოლში მიმდინარე მაშტაბური გამოსვლების პარალელურად აქტიური იყო მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც სამართლიანობისა და განვითარების პარტიას უჭერს მხარს. ქასიმფაშას რაიონში, სადაც დაიბადა ერდოღანი, ხელკეტებით შეიარაღებული მოსახლეობა პოლიციის ძალებს შეუერთდა დემონსტრანტების წინააღმდეგ. კონსერვატორებსა და აქციის მონაწილეებს შორის შეტაკება მოხდა აგრეთვე კონიაშიც, რომელიც ყველაზე კონსერვატულ ქალაქად ითვლება თურქეთში.

ამის ფონზე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ისლამისტური ორგანიზაცია ღიად გამოვიდა ერდოღანის წინააღმდეგ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ანტიკაპიტალისტური მუსლიმებისა“ და „რევოლუციონისტური მუსლიმების“ ორგანიზაციები, რომლებმაც 7 და 14 ივნისს გეზის პარკში გამართული მეჩეთის კარვის წინ შეასრულეს პარასკევის ლოცვა.

<u>მედია</u>

გეზის პარკის დასაცავად დაწყებულმა აქციამ ვერ მოიპოვა სათანადო ყურადღება თურქულ მედიაში და მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე მოკლე სიუჟეტი გავიდა. ვითარების შეცვლისა და პოლიციასთან დაწყებული შეტაკებების მიუხედავად, თურქული მედია უარს ამბობდა აღნიშნული მოვლენების გაშუქებაზე. სიტუაცია არ შეცვლილა მას შემდეგაც კი, რაც საპროტესტო აქციები გაიმართა თურქეთის უმსხვილესი საინფორმაციო კომპანიების შენობების წინ (აქცია მიმდინარეობდა ჰაბერთურქისა და NTV–ს ოფისების წინ).

თურქულმა მედიამ აქტიურობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მიმდინარე მოვლენებმა საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო. თუმცა თავდაპირველად თურქი ჟურნალისტები დიდი სიფრთხილით სვამდნენ შეკითხვებს, განსაკუთრებით პოლიციის მიერ გადამეტებული სისასტიკის ფაქტებთან დაკავშირებით.

საპროტესტო გამოსვლების დასაწყისში ინფორმაციის გავრცელების ერთადერთ წყაროს სოციალური ქსელები წარმოადგენდნენ. ინფორმაცია და შესაბამისად ბევრი დეზინფორმაციაც პირველ რიგში YouTube–ისა და Twitter–ის მეშვეობით ვრცელდებოდა.

მიმდინარე მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ თურქეთში აღარ არის ისეთი თავისუფალი მედია, როგორიც სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პირველ პერიოდში იყო. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო CNN–ზე ტაქსიმის მოედანზე მიმდინარე დაპირისპირების პირდაპირ ეთერში ჩვენების დროს, თურქულ CNN–ზე გადიოდა დოკუმენტური ფილმი პინგვინების შესახებ.

მიმდინარე საპროტესტო აქციები ყველაზე დიდი გამოწვევაა სამართლიანობისა და განვითარების პარტიისათვის. ერდოღანი თავის თავში დარწმუნებული და საკმაოდ ავტორიტარული პოლიტიკოსია, რომელიც აღარავის უსმენს. მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით თურქეთი საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაზე გადადის და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი კანდიდატურა ერთ–ერთი ძირითადი იქნება.

ის ფაქტი, რომ მთავრობა არ აღმოჩნდა მზად წასულიყო რაიმე სახის დათმობაზეც კი, გახდა პარკის დასაცავად მოწყობილი მშვიდობიანი აქციის ფართომასშტაბიან ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაზრდის მიზეზი. მოსახლეობა გამოვიდა სულ უფრო და უფრო ამპარტავანი, ავტორიტარული, განსხვავებული აზრის მიმართ შეურიგებელი მთავრობის წინააღმდეგ. ამას

დაემატა ის საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების წესს შეეხო. რელიგიური ფუნდამენტალისტების დაცვის მიზნით ბოლო პერიოდში მიიღეს ახალი კანონი ალკოჰოლური სასმელების შესახებ (საცალო გაყიდვა მთლიანად აიკრძალა საღამოს 10სთ–დან დილის 6სთ–მდე. გაყიდვა უნდა მოხდეს რელიგიური და სასწავლო დაწესებულებებიდან მინიმუმ 100 მეტრის მოშორებით, თითქმის მთლიანად აიკრძალა ალკოჰოლური სასმელების რეკლამა) და მორალური ნორმები, რომლის თანახმადაც დასჯადი გახდა ანკარაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კოცნა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ თურქეთის მმართველ პარტიას საკმაოდ ბევრი მომხრეც ყავს. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში ქვეყნის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯები საყოველთაოდაა აღიარებული. წინამორბედებთან შედარებით მათ მოახერხეს თურქული ეკონომიკის განვითარება. დღეს მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების მიუხედავად თურქეთში ძნელი მოსაძებნია ძალა, რომელიც შეძლებს მმართველი პარტიის ჩანაცვლებას ხელისუფლების სათავეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

http://www.nytimes.com/2013/06/17/world/europe/turkey.html?pagewanted=all&_r=0
http://blogs.lse.ac.uk/polis/2013/06/07/turkish-summer-protests-politics-and-media-eyewitness-analysis/
http://bulentjournal.com/gezi-parki-yeni-bir-siyasi-uzlasi-mi/
http://articles.latimes.com/2013/jun/02/world/la-fg-turkey-protests-20130603
http://www.hurriyetdailynews.com/analysis-turkey-realizes-strength-with-occupy-taksim-protest.aspx?pageID=238&nid=48076
http://www.aktifhaber.com/taksim-gezi-parkinin-tarihcesi-796996h.htm
http://www.ntvmsnbc.com/id/25445552
http://www.radikal.com.tr/turkiye/sirri_sureyyayi_da_hastanelik_ettiler-1135736
http://www.cbc.ca/news/world/story/2013/06/29/wd-turkey-protest-death.html
http://www.hurriyetdailynews.com/police-withdraw-from-taksim-after-violent-crackdown-as-protesters-remain-defiant-on-5th-day.aspx?pageID=238&nID=48009&NewsCatID=341
http://www.hurriyetdailynews.com/police-withdraw-from-taksim-after-violent-crackdown-as-protesters-remain-defiant-on-5th-day.aspx?pageID=238&nID=48009&NewsCatID=341
http://www.timeturk.com/tr/2013/06/05/nyt-ilani-taksim-eylemcilerini-boldu.html
http://www.aljazeera.com/news/europe/2013/06/20136551212442132.html
http://www.theworldreporter.com/2013/06/inside-story-occupy-gezi-movement-turkey.html#.UdWfzTs_uNA
https://www.wsws.org/en/articles/2013/06/05/turk-j05.html

ინგა ინასარიძე

„ცხელი ზაფხული“ არაბულ ქვეყნებში

გასული ერთი თვე საინტერესო აღმოჩნდა რეგიონისთვის. ამჯერად მთელი ყურადღება ეგვიპტისკენაა მიპრყობილი, სადაც სამხედრო გადატრიალება მოხდა. ახალი მმართველი ჰყავს კატარსაც, თუმცა ეგვიპტისგან განსხვავებით, მშვიდობიანი გზით მოსული. სირიაში კვლავ გრძელდება სამოქალაქო ომი, რაც ცუდ გავლენას ახდენს მეზობელ ლიბანსა და იორდანიაზე. ცვლილებებია პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციაშიც. კვალავ დაიძაბა ურთიერთობა სუდანსა და სამხრეთ სუდანს შორის. ქუვეითში კი საპარლამენტო არჩევნების თარიღი დანიშნეს.

ამ დროისათვის რეგიონში ყურადღება მთლიანად **ეგვიპტეში** განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზეა მიპყრობილი. მთელი თვის განმავლობაში ქვეყანაში გრძელდებოდა პრეზიდენტ მურსის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირება. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც მურსიმ 27 პროვინციიდან 17-ში ახალი გუბერნატორები დანიშნა. საერთო ჯამში გამოვიდა, რომ 13 რეგიონის ხელმძღვანელები ”ძმები მუსლიმების” წარმომადგენლები და მათი მოკავშირეები გახდნენ. განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია ლუქსორის პროვინციაში ა.მ. ალ-ჰაიტანის დანიშვნამ. ამ პროვინციაში 1997 წელს 58 უცხოელი ტურისტი დახვრიტეს. ალ-ჰაიტანი იმ პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო (შექმნისა და განვითარების პარტია), რომელმაც ეს ტერაქტი მოაწყო. რამდენიმე პროვინციაში ოპოზიციამ მასობრივი საპროტესტო აქციები გამართა, რომელიც შემდეგ შეტაკებებში გადაიზარდა. დემონსტრანტების მოთხოვნით, 23 ივნისს ლუქსორის პროვინციის გუბრენატორი გადადგა.

მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა თვის მიწურულს. 30 ივნისს მურსის პრეზიდენტობის 1 წლისთავი შეუსრულდა. თაჰრირის მოედანი ისევ დემონსტრანტებით შეივსო. ოპოზიციის მხარეს გამოვიდა ეგვიპტის არმიაც. ოფიცრებმა ქვეყნის პრეზიდენტს 48 საათიანი ვადა მისცეს ოპოზიციის მოთხოვნების შესასრულებლად და პრობლემების მოსაგვარებლად. 2-3 ივლისს ქვეყნის ექვსი მინისტრი თანამდებობიდან გადადგა და დემონსტრანტებს შეუერთდა.[1] როგორც ეგვიპტის სამხედრო ოფიცერმა, გენერალმა აბდელ-ფატაჰ ელ-სისიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, მურსიმ და „ძმებმა მუსლიმებმა“ ვერ გაამართლეს ხალხის იმედები და ვერ შეძლეს მათი მოთხოვნების შესრულება. 3 ივლისს ულტიმატუმის ვადის გასვლისას მურსიმ განაცხადა, რომ არ აპირებდა გადადგომას. ამ განცხადებას იმავე საღამოს სამხედო გადატრიალება და ქვეყნის ისტორიაში პირველად დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული პრეზიდენტის გადაყენება მოჰყვა. სამხედრო ძალებმა გააუქმეს კონსტიტუცია და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელი, ადლი მანსური დანიშნეს. ამ დროისათვის უცნობია მურსის ზუსტი ადგილსამყოფელი, თუმცა მისი რამდენიმე მრჩეველი და მოკავშირე შინა პატიმრობაში იმყოფება.

ადლი მანსურს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა უკვე მიულოცა საუდის არაბეთის მეფე აბდულამ და მას წარმატებები უსურვა. მისალოცი შეტყობინება გაუგზავნა მანსურს კატარის ახალმა ემირმა, შეიხ თამიმ ბინ ჰამად ალ-თანიმაც.

ეგვიპტის მოვლენებს გამოეხმაურა სირიის პრეზიდენტი, ბაშარ ალ-ასადიც, რომელმაც ხელისუფლების შეცვლა ასევე დადებითად შეაფასა. „ის, რაც ხდება ეგვიპტეში, ნათლად აჩვენებს

[1] კავშირგაბმულობის, ტურიზმის, იურიდიულ საქმეთა, გარემოს დაცვის, კომუნალური მომსახურების და საგარეო საქმეთა მინისტრები.

ე.წ. ისლამური პოლიტიკის მარცხს. იგივე ბედი ელის მას, ვინც პილიტიკისა თუ პირადი ინტერესებისთვის რელიგიის გამოყენებას ცდილობს“.

ეგვიპტეში მომხდარ ცვლილებებს მიესალმება არაბთა გაერთიანებული საამიროებიც. საგარეო საქმეთა მინისტრი, აბდულა ბინ ზაიედ ანნაჰაიანიმ თავის ოფიციალურ განცხადებაში ეგვიპტელი ხალხის მიმართ პატივისცემა გამოხატა. მან ასევე ხაზი გაუსვა არმიას, როგორც ეგვიპტის მთავარი დასაყრდენის ძალის მნიშვნელობას.

ხელისუფლების შეცვლას ბნელი მხარეც ახლდა თან. კერძოდ, დემონსტრაციების დროს დაფიქსირებული გაუპატიურებისა და ძალადობის არც თუ იშვიათი ფაქტები. ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა გაერო–ს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა. მოხდარ ფაქტებზე შეშფოთება გამოთქვა ამერიკამაც. დაზარალებულთა შორის ერთი ჰოლანდიელი ჟურნალისტიცაა.

ქვეყანაში ვითარების გაურესებასთან დაკავშირებით, 29 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გაავრცელა ეგვიპტის ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის. საქართველოს საელჩო თავის მოქალაქეებს მოუწოდებს ეგვიპტის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის კაიროში, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გადაადგილდნენ და მოერიდონ დემონსტრაციებისა და მასობრივი თავშეყრის ადგილებს.

მანამდე კი სანამ ქვეყანაში ვითარება ასე გამწვავდებოდა, სხვა მნიშვნელოვან მოვლენებსაც ჰქონდა ადგილი.

4 ივნისს კაიროს სასამართლომ 26 უცხოელს, აქედან უმეტესობა ამერიკის მოქალაქე, დაუსწრებლად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მათ ბრალად ედებათ 2011 წლის რევოლუციის დროს პოლიტიკური მოძრაობების უკანონო დაფინანსება. 2 წლიანი პატიმრობა მიესაჯა ეგვიპტის 11 მოქალაქეს, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების ყოფილი თანამშრომლები იყვნენ. სასამართლომ ასევ მიიღო გადაწყვეტილება ხუთი უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციის დახურვის თაობაზე. ვაშინგტონში უკვე განიხილეს ეგვიპტის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ამერიკის ადმინისტრაციის შეშფოთება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ეგვიპტე ამერიკის ყოველწლიურ, 1,3 მლრდ დოლარის სამხედრო დახმარებას მაინც მიიღებს.

გრძელდება დაპირისპიება **ეგვიპტესა და ეთიოპიას** შორის ნილოსის წყლის განაწილებასთან დაკავშირებით. 13 ივნისს ეთიოპიის პარლამენტმა ნილოსის წყლის რესურსის განაწილების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა, რომელსაც 2010 წელს ხელი მოაწერეს ეთიოპიამ რუანდამ, ტანზანიამ, უგანდამ და შემდგომ შეერთდა კენია და ბურუნდი. ამ დროისათვის იგეგმება, რომ დოკუმენტს შეურთდნენ კონგო და სამხრეთ სუდანიც. შეთანხმება ითვალისწინებს ნილოსის წყლის გამოყენებას, ასევე მდინარის აუზში წყლის პროექტებზე კომისიის შექმნას. შეთანხმების მიღმა დარჩნენ ნილოსის მთავრი მომხმარებლები ეგვიპტე და სუდანი, რომლებიც აქტიურად გამოდიან ახალი ინიციატივის წინააღმდეგ. რადგან, ეს უკანასკნელი ფაქტიურად ცვლის 1929 და 1959 წელს მიღწეულ შეთანხმებებს, რომლებშიც ძირითადად ეგვიპტისა და სუდანის ინტერესები იყო დაცული, სხვა ქვეყნების კი თითქმის სრულად უგულვებელყოფილი. როგორც მურსიმ განაცხადა, მისი ქვეყანა არ დაუშვებს ნილოსის წყალზე ეგვიპტური კვოტის შემცირებას. მას ასევე ხაზი გაუსვა ეგვიპტის საწყლო/წყლის უსაფრთხოების მნიშვნელობას და ეთიოპიისგან ცისფერ ნილოსზე კაშხლის მშენებლობის შეწყვეტა მოითხოვა. 18 ივნისს ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ ქამელ ამრი ვიზიტით ადის-აბებაში იმყოფებოდა. ვიზიტის მიზანი ეთიოპიის მიერ ნილოსზე უმსხვილესი კაშხლის მშენებლობის საკითხის განხილვა იყო. მხარები შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებდნენ დიალოგის რეჟიმში მუშაობას.

მთელი თვის განმავლობაში **სირიის** სხვადასხვა რაიონებში გრძელდება საბრძოლო მოქმედებები სამთავრობო ძალებსა და ასადის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ფორმირებებს შორის. ყველაზე მნიშვნელოვანი შეტაკებები მოხდა ალეპოში, ალ-კუსეირის პროვინციაში, ჰომსსა და დამასკოს გარეშემო რაიონებში.

5 ივნისს სამთავრობო ძალებმა, ლიბიური „ჰიზბალაჰის“ შენაერთების მხარდაჭერით, ლიბანის საზღვართან მდებარე მნიშვნელოვანი ოპოზიციური ქალაქი ალ-კუსეირი დაიკავა. სწორედ აქედან ხდებოდა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მომარაგება. ამ ქალაქზე კონტორლის დამყარების შემდეგ სირიის არმიამ ქალაქის გარშემო რამდენიმე დასახლებული პუნქტიც დაიკავა. უკვე 9 ივნისს სირიის სამთავრობო ძალებმა დაიწყეს ოპერაცია „ჩრდილოეთის შტორმი“, რომელიც მეამბოხე მებრძოლებისგან ალეპოს ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის მიმდებარე ტერიტორიების განთავისუფლებას გულისხმობდა.

მალევე გოლანის მაღლობზე გამწვავებული ვითარების გამო ავსტრიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავისი სამხედრო მოსამსახურეების (377 ადამიანი) გარეოს ძალების შემადგენლობიდან გაყვანის თაობაზე.

ივნისშივე ამერიკის ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. მათი ინფორმაციით სირია ამბოხებული მებრძოლების წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს იყენებედა. ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით ამერიკის მიერ გაკეთებული განცხადებამ კიდევ უფრო გაართულა ვითარება ამ ქვეყანასთან მიმართებაში. ვაშინგტონში იორდანიის საზღვართან ახლოს, სირიის სამხრეთ რაიონების არასაფრენ ზონად გამოცხადების საკითხსაც განიხილავდნენ. ამასთან, ამერიკა იორდანიის თხოვნის საფუძველზე „პატრიოტს“ და ბომბდამშენ F-16-ს ტოვებს სამეფოს ტერიტორიაზე. როგორც ცნობილი გახდა ეს შეიარაღება იორდანიის სამხედროების კონტროლის ქვეშ იქნება, ტექნიკურ მხარდაჭერას კი ამერიკელი სპეციალისტები აღმოუჩენენ. იორდანიის მეფემ, აბდულა II–მ 16 ივნისს განაცხადა, რომ ამანი მზადაა ნებისმიერ საფრთხეზე მოახდინოს რეაგირება, რომელიც სამეფოს უსაფრთხოებას დაემუქრება სირიიდან. მართლია ჯონ კერიმ აღნიშნა, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებამ შესაძლოა იქამდე მიიყვანოს საქმე, რომ სირიის კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაჭრა შეუძლებელი გახდეს. მაგრამ საინტერესოა, რომ ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები კვლავ განაგრძობენ მიუკერძოებელ პოზიციაზე დგომას სირიის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში.

რუსეთმა ნეგატიურად შეაფასა ამერიკის განცხადება. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ სირიის კონფლიქტში გარედან ჩარევა გამოიწვევს მმართველი რეჟიმის შეცვლას, ქვეყანაში დაიწყება ტომთაშორისი ბრძოლა რესურსებითვის, ეს კი რეგიონში ტერორიზმის ახალ საფრთხეს წარმოშობს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტმა, სერგეი ლავროვმა კი სირიის არმიის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება ეჭვქვეშ დააყენა. ხოლო იორდანიაში თავდაცვითი კომპლექსის განთავსება, სირიის სამხრეთ რეგიონზე არასაფრენი ზოლის შესაქმნელად, ლავროვმა საერთაშორისო წესის დარღვევად შეაფასა. ოფიციალური დამასკოს განცხადებით, ამერიკის ინფორმაცია, სირიის არმიის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ, ფაბრიკაციაა. გაერო–ს გენერალური მდივნის, პან გი მუნის აზრით, ნებისმიერ მხარისთვის სამხედრო დახმარების მიწოდება ვერ შეძლებს ქვეყანაში ვითარების დარეგულირებას. სირიის ოპოზიცია კი მიესალმება ამერიკის მხრიდან მათთვის დამატებითი დახმარების აღმოჩენას.

მნიშვნელოვნად გაამკაცრა თავისი დამოკიდებულება ოფიციალური დამასკოს მიმართ ეგვიპტემაც. ეგვიპტის პრეზიდენტმა მურსიმ 15 ივნისს სირიასთან დიპლომატური კავშირის გაწყვეტის შესახებ გააკეთა განცხადება.

სირიის ოპოზიცია სხვადასხვა მიზეზთა გამო ისევ უარს აცხადებს საერთაშორისო კონფერენცია “ჟენევა 2“-ში მონაწილეობაზე, რომელზეც სირიაში კრიზისის დარეგულირების პერსპექტივები უნდა განიხილონ და ინიცირებულია რუსეთისა და ამერიკის მიერ. ამასთან დაკავშირებით, 7 ივნისს სირიის ოპოზიციური და როვოლუციურ ძალთან ნაციონალურმა

კოალიციამ გააკეთა განცხადება. მათ ეჭვი შეიტანეს კონფერენციაში მონაწილეობის აუცილებლობასა და მის ქმედუნარიანობაში. მათი აზრით, თუკი ასადის რეჟიმი არ გაითვალისწინებს ჟენევის პირველი კონფერენციის შეთანხმების პირობებს, რაც ავტოკრატიის შეწყვეტასა და დემოკრატიულ წყობაზე გადასვლას გულისხმობს, მეორე კონფერენცია არაფრის მომტანი იქნება.

სირიის კონფლიქტი იყო ერთ-ერთი მთავარი თემა 18 ივნისს ლოჰ-ერნეში (ჩრდ. ირლანდია) გამართული „დიდი რვიანის“ შეხვედრის დროსაც. საერთო ჯამში, როგორც სამიტის მონაწილეებმა განაცხადეს, საკითხის გადაჭრას კვლავ საერთაშორისო დიალოგის ფორმატში ხედავენ. მათ სირიის ხელისუფლებასა და ოპოზიციას მოუწოდეს, ერთიანი ძალისხმევით მოახერხონ ქვეყნიდან „ალ-ქაიდას“ გაძევება. ასევე აღნიშნეს ქვეყანაში ტერორიზმის საფრთხის ზრდით გამოწვეული შეშფოთება. განცხადებაში ჟენევის კონფერენციის გამართვის აუცილებლობაც იყო ხაზგასმული. „დიდი რვიანის“ ლიდერებმა ერთხმად დაგმეს სირიის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სირიისთვის და მეზობელი ქვეყნებისთვის 1,5 მლრდ დოლარის ოდენობის ჰუმანიტარული დამხარების გამოყოფაზე. რუსეთის პოზიციიდან გამომდინარე, კომუნიკეში არ ყოფილა ჩართული ასადის გადაყენების საკითხი.

ამერიკის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას განცხადებით ადმინისტრაციის მოქმედებები იქნება „ფრთხილი და კალიბრირებული“. პრეზიდენტმა მხარი კვლავ კრიზისის დიპლომატიური გზით მოგვარებას დაუჭირა.

22 ივნისს დოჰაში 11 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ ე.წ. „სირიის მეგობართა ჯგუფის“ ფარგლებში (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ეგვიპტე, იორდანია, იტალია, კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, აშშ, თურქეთი და საფრანგეთი). შეხვედრაზე მხარეებმა სირიის ოპოზიციისთვის რაც შეიძლება სწრაფად დახმარების გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს. დახმარება იარაღსაც მოიცავს. ამასთან კვლავ აღინიშნა „ჟენევა 2“-ის გამართვის აუცილებლობა. დოჰაში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, ჯონ კერიმ რუსეთი სირიაში საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, სწორედ რუსეთის მიერ ასადისთვის რუსული შეიარაღების გადაცემამ გამოიწვია მიმდინარე მოქმედებები. მისი თქმით, ნებისმიერი გადაწყვეტილება სირიის კონფლიქტთან მიმართებაში უნდა იყოს პოლიტიკური და არა საომარი. საკმაოდ მკაცრი პოზიცია ეკავა შეხვედრაზე კატარის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს, ალი თანის, რომელმაც განაცხადა, რომ აუცილებელია სწრაფი მოქმედება სირიაში სამართლიანობის აღდგენისათვის.

სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომი სულ უფრო ნეგატიურ გავლენას ახდენს მეზობელ **ლიბანზეც**. ლიბანის ისლამისტი რადიკალები მხარს უჭერენ სირიელ ამბოხებულებს და მტრულად არიან განწყობილნი ადგილობრივი ალავიტებისა და შიიტური დაჯგუფება „ჰეზბოლას“ (ჰიზბ ალლაჰის) მიმართ, რომელიც თავის მხრივ ასადის რეჟიმის მხარდამჭერია. დედაქალაქსა და ქვეყნის რამდენიმე რაიონში რეგულარულად ხდება შეიარაღებული შეტაკებები ასადის რეჟიმის ადგილობრივ მეამბოხეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ასევე არ წყდება ლიბანზე იერიშის მიტანა სირიის ტერიტორიიდან, როგორც ამბოხებულების ისე სამთავრობო ძალების მიერ. ლიბანის არმიის მცდელობას, ვითარება კონტროლს დაუქვემდებაროს, სუნიტი საზოგადოების ლიდერების მხრიდან ნეგატიური რეაქცია მოსდევს. გასულ კვირას ლიბანის პრეზიდენტმა მიშელ სულეიმანმა გაერო–სა და არაბულ ლიგაში სპეციალური გზავნილები გააგზავნა, რომლითაც მიანიშნა, რომ ”სირიის კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე არღვევს ლიბანის სუვერენიტეტს”. სულეიმანმა ასევე კატეგორიულად გამორიცხა ლიბანური ”ჰიზბ ალლაჰის” მებრძოლების მონაწილეობა სირიის სამოქალაქო ომში.

სირიის კონფლიქტი ასევე აისახება **იორდანიასა** და ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკაზეც. სამეფოს პრემიერ-მინისტრის, აბდულა ან–ნასურის განცხადებით, რომელიც 22 ივნისს გააკეთა, იორდანიისთვის შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს, როგორც ასადის რეჟიმის მოულოდნელად დამხობის ვარიანტი, ისე სამოქალაქო ომის გაგრძელება. ამ ვითარებაში იორდანიის ხელისუფლებამ ამერიკას ქვეყნის ტერიტორაზე ამერიკული გამანადგურებელი F-16 და სარაკეტო კომპლექსების - „პატრიოტის" დატოვება სთხოვა. ეს შეიარაღება საერთაშორისო სამხედრო სწავლების „გააფთრებული ლომი 2013" („Eager Lion") განათვსეს ქვეყანაში. სწავლება 9 ივნისს დაიწყო და 20 ივნისს დასრულდა. საბოლოოდ, ამერიკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა დატოვოს იორდანიაში სწავლებაში მონაწილე 700 სამხედრო მოსამსახურე, 12 გამანადგურებელი F-16 და "პატრიოტის" 2 ბატარეა. 2012 წლიდან იორდანიაში ისედაც იმყოფებოდა 300 ამერიკელი სამხედრო.

8 ივნისს **ლიბიის** დასავლეთით, ბენგაზიში შეტაკება მოხდა დემონსტრანტებსა და „ლიბიის ფარის" მებრძოლებს შორის. ამ უკანასკნელებს ყოფილი ამბოხებულები შეადგენენ, რომლებიც კადაფის რეჟიმის წინააღდეგ იბრძოდნენ. დაიღუპა 31 ადამიანი, 100-მდე კი დაშავდა. დემონსტრანტები „ლიბიის ფარის" და სხვა მსგავსი „ბრიგადების" დაშლას და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციის მთლიანად ქვეყნის მმართველი ძალოვანი სტრუქტურებისთვის გადაცემას ითხოვდნენ. როგორც ცნობილია, „ლიბიის ფრთის" „ბრიგადამ" თავდაცვის სამინისტროთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი. ამ მოვლენებთან დაკავშრებით 9 ივნისს ბენგაზიში გენშტაბის მეთაური, ლიბიის არმიის გენერალი უ. მანგუში გადადგა. მეორე დღესვე, 10 ივნისს შეიარაღებული ძალების გენშტაბმა განცხადება გააკეთა არმიის განკარგულებში შეიარაღებული ფორმირების, „ლიბიის ფარის" ყველა შტაბ-ბინის გადაცემათან დაკავშირებით. ეს ბრძანება შეეხება ყველა არაოფიციალურ და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნაში. განცხადების მიხედვით, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბოევიკების წინააღმდეგ გამოყენებული იქნება ძალა ხელისუფლების მხრიდან.

15 ივნისს ბენგაზიში მორიგი შეტაკებებს ქონდა ადგილი უსაფრთხოების ძალებსა და ისლამისტ მებრძოლებს შორის.

კიდევ ერთ სკანდალს გადაურჩა ლიბია 11 ივნისს, როდესაც იტალიელი დიპლომატის მანქანაში დამონტაჟებული ბომბი აღმოაჩინეს. ლიბიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გაძლიერდება იტალიელი დიპლომატების დაცვა, მომხდარზე კი გამოძიება დაიწყო.

6 ივნისს **პალესტინის** ეროვნულ ადმინისტრაციაში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა მთავრობამ რამი ჰამდალლას ხელმძღვანელობით. თუმცა, მოძრაობა ჰამასმა უარს განაცხადა ახალი მთავრობის ცნობაზე, რადგან მასში არ იყო ამ ორგანიზაციის არც ერთი წარმომადგენელი. სამწუხაროდ მალევე, 23 ივნისს პრემიერ-მინისტრმა ჰამდალლამ გადადგომის თხოვნით მიმართა პალესტინის პრეზიდენტს მაჰმუდ აბბას. როგორც გაირკვა, გადადგომის მიზეზი პრეზიდენტის გადაწყვეტილება გახდა, როდესაც აბბასმა ჰამდალლას მისგან მოულოდნელად თავისი მოკავშირე ორი დეპუტატი – ზიად აბუ ამრი და მუჰამედ მუსტაფა დაუნიშნა სამსახურში. პრეზიდენტმა დააკმაყოფილა ყოფილი პრემიერის თხოვნა, თუმცა მას ახალი მთავრობის ფორმირებამდე საქმიანობის შესრულება სთხოვა.

სუდანის პრეზიდენმტა ომარ ალ-ბაშირმა 9 ივნისს ბრძანება გასცა ქვეყნის ტერიტორიაზე სამხრეთ სუდანური ნავთობის გატარების შეწყვეტის შესახებ. როგორც ხართუმში განმარტეს, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სამხრეთ სუდანის ქმედებებიდან გამომდინარე, რომელიც კვლავ განაგრძობს დარფურში, კორდოფანის პროვინციასა და ცისფერი ნილოსის რეგიონში ამბოხებულების მხარდაჭერას. იმავე დღეს ხართუმმა სამხრეთ სუდანთან დადებული იმ ცხრა

შეთანხმების გაუქმების შესახებაც გააკეთა განაცხადება, რომლებიც მხარეებმა ეკონომიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე მიაღწიეს. 11 ივნისს სუდანის ნავთობის სამინისტრომ ოფიციალურად მისცა სანავთობო კომპანიებს მითითება ქვეყნის ტერიტორიაზე სამხრეთ სუდანის ნავთობის ტრანსპორტირების შეწყვეტის თაობაზე. ექსპერტთა შეფასებით, ნავთობის გადაზიდვის პროცესის შეწყვეტას დაახლოებით 45 დღე-ღამე დასჭირდება, რათა არ დაზიანდეს მილსადენების ინფრასტრუქტურა. როგორც 10 ივნისს სამხრეთ სუდანის პრეზიდენტმა სალვა კიირმა გაანცხადა, იგი აპირებს აფრიკულ კავშირს მიმართოს სუდანთან დაპირისპირებაში შუამდგომლობის თხოვნით.

ტერაქტების ახალი სერია განხორციელდა **ერაყის** სხვადასხვა რაიონებში. 10 ივნისს ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილეთ რეგიონებში ტერორისტების მიერ მოწყობილი ტერაქტის დროს 70 ადამიანზე მეტი დაიღუპა, 250 კი დაიჭრა. 16 ივნისს ერაყის სამხრეთით მოწყობილი ტერაქტების სერიას კი 32 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავდა - 60.

ქუვეითში საკანონმდებლო ორგანოს მორიგი არჩევნების თარიღი დანიშნეს. რიგით მეექვსე საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში 25 ივლისს გაიმართება.

კატარს ახალი მმართველი ყავს. 25 ივნისს ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – შეიხ ჰამად ბინ ხალიფა ალ-თანიმ მისი 18 წლიანი მმართველობის შემდეგ ქვეყნის სადავეები თავის 33 წლის ვაჟს, თამიმ ბინ ჰამად ალ-თანის გადააბარა. ახალი მმართველი ალ-თანის დინასტიის მეცხრე ემირია. როგორც ცნობილი გახდა, ქვეყნის არც საშინაო და არც საგარეო კურსი არ შეიცვლება. თამიმი მანამდეც აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის მმართველობაში. დანიშვნიდან რამდენიმე დღეში ცნობილი გახდა პრემიერ-მინისტრის ვინაობა და მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილელების შესახებ. პრემიერ-მინისტრად დაინიშნა შეიხ აბდულა ბინ ნასსე ბინ ხალიფა ალ-თანი, რომელიც იმავდროულად შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტსაც დაიკავებს. მინისტრთა კაბინეტში მოხვდა ქალიც. ჰესსა სულთან ალ-ჯაბერიმ კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მინისტრის პოსტი დაიკავა.

გამოყენებული მასალები:

http://www.nytimes.com/2013/07/02/opinion/military-ultimatum-in-egypt.html?_r=1&
http://news.yahoo.com/questions-answers-egypts-latest-turmoil-224730580.html
http://www.reuters.com/article/2013/06/27/us-egypt-protests-idUSBRE95P0IW20130627
http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&info_id=16442
http://edition.cnn.com/2013/07/04/world/meast/egypt-coup/index.html?fb_action_ids=10151755688834758&fb_action_types=og.recommends&fb_source=aggregation&fb_aggregation_id=288381481237582
http://www.france24.com/en/20130702-uns-ban-concerned-over-sexual-assaults-egypt
http://edition.cnn.com/2013/07/03/opinion/burleigh-rapes-tahrir-square/index.html?iid=article_sidebar
http://en.harakahdaily.net/index.php/berita-utama/world/7514-saudi-arabia-uae-and-syria-united-in-welcoming-egypt-coup.html
http://www.reuters.com/article/2013/07/04/us-egypt-protests-qatar-idUSBRE9630C420130704?feedType=RSS
http://news.yahoo.com/egypt-5-ministers-meet-consider-resignation-122842873.html;_ylt=A2KJ2UZkFtRRpnUAYljQtDMD
http://www.huffingtonpost.com/2013/07/01/mohamed-kamel-amr-egypt-resignation-resigns_n_3531051.html
http://news.yahoo.com/egypt-war-talk-raises-ethiopia-nile-dam-stakes-062931509.html;_ylt=A2KJ2Ug7VLhRtW8AeurQtDMD
http://www.reuters.com/article/2013/06/12/us-syria-crisis-ladsous-idUSBRE95B07420130612
http://news.yahoo.com/multinational-military-exercises-launch-jordan-143524902.html
http://www.iimes.ru/?p=17648#more-17648

http://www.iimes.ru/?p=17720#more-17720
http://www.iimes.ru/?p=17762#more-17762
http://www.reuters.com/article/2013/06/12/us-sudan-southsudan-oil-idUSBRE95B00C20130612
http://www.reuters.com/article/2013/06/11/us-italy-libya-bomb-idUSBRE95A0YB20130611
http://www.bbc.co.uk/news/world-middle-east-19744533
http://www.guardian.co.uk/world/2013/jun/13/tensions-government-militia-libya-shield-benghazi
http://www.rappler.com/world/31975-palestine-president-abbas-accepts-prime-minister-s-resignation
http://news.yahoo.com/kuwait-sets-sixth-parliamentary-election-seven-years-140854158.html;_ylt=A2KJ2UjXTtVRRwMA6LvQtDMD
http://www.nytimes.com/2013/06/28/world/middleeast/qatar-names-new-cabinet.html?_r=0

ინგა ინასარიძე

ეგვიპტისა და ეთიოპიის დაპირისპირება ნილოსის საკითხზე

გასულ თვეს რეგიონში ახალი კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე გაჩნდა. ეთიოპიამ ნილოსზე მსხვილი კაშხლის მშენებლობა განაახლა, რამაც ეგვიპტის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ უკანასკნელისთვის ნილოსის წყლით მომარაგების თემა საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოების პრიზმაში განიხილება. როგორც ოფიციალურმა კაირომ განაცხადა, იგი არ დაუშვებს ნილოსის წყალზე ეგვიპტური კვოტის შემცირებას. ეგვიპტემ უკვე მოუწოდა ეთიოპიას კაშხლის მშენებლობის შეწყვეტისაკენ. მაგრამ თავის მხრივ, არც ეთიოპია აპირებს საკუთარი გეგმების განხორციელებაზე უარის თქმას. მითუმეტეს, რომ მდინარის წყლის ძირითადი ნაწილი, რომელსაც ეგვიპტე მოიხმარს, სწორედ ეთიოპიაში იღებს სათავეს. 13 ივნისს ეთიოპიის პარლამენტმა ნილოსის წყლის რესურსის განაწილების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახინდა. შეთანხმებას 2010 წელს ხელი მოაწერეს ეთიოპიამ, რუანდამ, ტანზანიამ, უგანდამ; მოგვიანებით მას შუერთდნენ კენია და ბურუნდი. ეს ფაქტი ეგვიპტის კიდევ ერთი უკმაყოფილების მიზეზი გახდა. დოკუმენტი ითვალისწინებს ნილოსის წყლის ახალ გადანაწილებას, ასევე მდინარის აუზში წყლის პროექტებზე კომისიის შექმნას. შეთანხმების მიღმა დარჩნენ ნილოსის მთავარი მომხმარებლები: ეგვიპტე და სუდანი. ეს არაბული ქვეყნები აქტიურად გამოდიან ახალი დოკუმენტის წინააღმდეგ, რადგან ის ფაქტიურად ცვლის 1959 წელს მიღწეულ შეთანხმებას, რომელშიც ეგვიპტისა და სუდანის ინტერესებია დაცული, სხვა ქვეყნების ეკონომიკური თუ დემოგრაფიული რეალიები კი თითქმის სრულადაა უგულვებელყოფილი.

ეგვიპტე, ისევე როგორც სუდანის ცივილიზაცია, თავის არსებობას ნილოსს უმადლის, რომელიც მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარეა (4,132 მილი). ეგვიპტე შესაძლოა ნამდვილად იყოს ნილოსის საჩუქარი, როგორც ეს ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ აღნიშნა, მაგრამ ნილოსი არაა ეგვიპტის საკუთრება. ამ მდინარის აუზს თერთმეტი სახელმწიფო იყოფს: ეგვიპტე, ეთიოპია, სუდანი, სამხრეთ სუდანი, კენია, ერითრეა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ტანზანია, უგანდა, ბურუნდი და რუანდა.

მდინარე 2 ძირითადი შენაკადისგან შედგება: თეთრი ნილოსი და ცისფერი ნილოსი. ხართუმთან ახლოს შეერთებით ისინი ქმნიან ნილოსის ძირითად ნაკადს, რომელიც ეგვიპტის ჩრდილოეთით, ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება. თეთრი ნილოსი სათავეს რუანდისა და ბურუნდის ადგილობრივი მთების ტბებიდან იღებენ. ცისფერი ნილოსი კი ეთიოპიაში, ტანას ტბიდან იწყება. იმ წყლის ძირითადი ნაწილი კი რასაც ეგვიპტე იღებს, სწორედ ცისფერი ნილოსზე მოდის.

გასული საუკუნეების განმავლობაში ნილოსის წყალს მთლიანად ეგვიპტელები მოიხმარდნენ. მიწათმოქმედების სფეროში ისინი სწორედ წყლის დონეზე იყვნენ დამოკიდებულნი, ისევე როგორც დღეს ჰიდრო და საირიგაციო სისტემის მუშაობაში. ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, ეგვიპტის მთლიანი წყლის 98% სწორედ ნილოსზე მოდის.

ეთიოპიამ, რომელსაც არასდროს გააჩნდა ნილოსის წყლის დამუშავების ეკონომიკური, ტექნიკური თუ პოლიტიკური შესაძლებლობა, ამჯერად მთელს აფრიკაში ყველაზე მასშტაბური ჰიდროელექტრო კაშხლის მშენებლობა წამოიწყო.

მოლაპარაკებები ნილოსის წყალზე კოლონიალიზმის ეპოქაში დაიწყო, როცა ინგლისი ცდილობდა მაქსიმალურად გაეზარდა სოფლის მეურნეობის წარმოება დელტაში. 1922 წელს, მას შემდეგ, რაც ეგვიპტელებმა ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს, დაიწყო მოლაპარაკებები აღმოსავლეთ აფრიკის ბრიტანულ კოლონიებთან ნილოსის წყლების 1929 წლის

შეთახნმებაზე. ეს შეთანხმება ეგვიპტეს უფლებას აძლევდა გამოეყენებინა 48 მლრდ კუბ. მ. წყალი და ვეტო დაედო მდინარის ზემო წელის ნებისმიერი წყლის რესურსის პროექტისთვის. სუდანმა, რომელმაც მალევე მოიპოვა დამოუკიდებლობა (1956), მხოლოდ 4 მლრდ. კუბ. მ. წყლის გამოყენების უფლება მიიღო. ეთიოპიის მონარქი კი არც ყოფილა ჩართული კონსულტაციებში, რამდენადაც არავინ იცოდა რეალურად ნილოსის წყლის რა ოდენობა მოდიოდა ეთიოპიიდან.

1959 წელს ეგვიპტესა და სუდანს შორის შეთანხმების გაფორმება ნილოსის წყალზე იქამდე დასრულდა, ვიდრე ზემო წელის ქვეყნები დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ: ტანგანიკა (1961), უგანდა (1962), რუანდა (1962), ბურუნდი (1962) და კენია (1963).

1959 წლის შეთანხმების მიხედვით ეგვიპტეს გამოეყო 55.5 მლრდ. კუბ.მ. წყალი წლიურად, სუდანს კი 18.5 მლრდ. კუბ. მ. შეთანხმება ასევე ნებართვას იძლეოდა ასვანის კაშხლის მშენებლობისთვის (აშენდა 1971 წ), როსეირის კაშხლის აგებისთვის (დასრულდა 1966 წ) და ხაშმ ალ-გირბას კაშხლის მშენებლობაზე (დასრულდა 1964 წ).

1987 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა და ეთიოპიის პრეზიდენტმა ჰაილე მარიამ მენგისტუმ მუქარისა და კონფრონტაციის პოლიტიკა შერიგებისა და თანამშრომლობის პოლიტიკით შეცვალეს.

შემდგომ 1990-იანი წლები შედარებით უხვი აღმოჩნდა ეთიოპიისთვის ნალექების მხრივ, ჰოსნი მუბარაქმა კი გააორმაგა ძალისხმევა ჯერ კიდევ ანვარ სადათის დროს დაწყებული ტოშკას არხის მშენებლობაზე. ეს პროექტი მსოფლიოში ერთ-ერთი ძვირადღირებული და ამბიციური უნდა ყოფილიყო. გეგმა ნასერის ტბის წყლის 10%–ს წაიღებდა, რათა ეგვიპტის ქვიშიანი დასავლეთ უდაბნო მორწყულიყო. ამასთან, კიდევ უფრო იზრდებოდა წყლის საჭიროება, ვიდრე ეს 1959 წლის შეთანხმებით ჰქონდა ეგვიპტეს განსაზღვრული.

ამ ფაქტით აღშფოთებული ეთიოპიის პრემიერ მინისტრი მელეს ზენაუი აცხადებდა, რომ „იმ დროს როცა ეგვიპტე ცდილობს ნილოსის წყლით საჰარის უდაბნო რაღაც მწვანედ აქციოს, ჩვენ ეთიოპიაში, რომელიც ამ წყლის 85%-ის სათავეა, უარს გვეუბნებიან წყლის საარსებოდ გამოყენებისთვის“.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყეს ეთიოპიაში „გრანდ რენესანსის“ კაშხლის გეგმის შემუშავება.

როგორც კი ოფიციალურმა ადის–აბებამ ნილოსზე გრანდ რენესანსის კაშხლის აშენების შესახებ გააკეთა განცხადება, ურთიერთობა ეთიოპიასა და ეგვიპტეს შორის დაიძაბა. პროექტის მიხედვით ნილოსის წყლის დიდი ნაწილს სწორედ ეთიოპია მიიღებს.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის განმავლობაში ეგვიპტემ და სუდანმა რამდენიმე კაშხალი და წყალსაცავი ააგეს ქვეყნის ტერიტორიის გაუდაბნოებისგან დასაცავად. ამჯერად ეთიოპიამ, რომელიც ერთ-ერთია მდინარის ზემო დინების რვა ქვეყნიდან, გადაწყვიტა აფრიკაში უდიდესი კაშხლის აშენება. მისი მშენებლობა სუდანის სასაზღვრო ზოლიდან 25 მილში, ცისფერი ნილოსზე იგეგმება.

გრანდ რენესანსის კაშხლის აშენების შემთხვევაში, იგი დაახლოებით 67 მლრდ. კუბ. მ. წყლის რეზერვუარს დაიტევს და სავარაუდოდ 6000 მეგავატის ელექტროენერგიის წარმოებას შეძლებს. ქვეყანას საშუალება მიეცემა აწარმოოს დამატებითი ენერგია მეზობელ ქვეყნებში ექსპორტისთვის. ნილოსის წყლის გაკონტროლება სავარაუდოდ ირიგაციისა და წყლით მოხმარების პრობლემასაც გადაუჭრის სახელმწიფოს. ეთიოპიელები იმედოვნებენ, რომ გრანდ რენესანსის კაშხალი მნიშვნელოვნად დაეხმარება ქვეყანას ეკონომიკური პრობლემების დაძლევაში, როგორც მაგალითად ეს მოხდა აშშ-ში, კანადაში, ჩინეთში, თურქეთში, ბრაზილიასა და თუნდაც ეგვიპტეში.

ეთიოპიის ელექტრო ენერგიის კორპორაციის ცნობით, გრანდ რენესანსის კაშხლის მშენებლობა 2015 წლისთვის უნდა დასრულდეს. დაახლოებით 5 მლრდ. დოლარია საჭირო მშენებლობის დასრულებისთვის. ამ დროის მონაცემებით პროექტის მხოლოდ 19.6%-ია შესრულებული. მისი მასშტაბიდან გამომდინარე, მშენებლობის მთავარ დაბრკოლებას ფინანსური მხარე წარმოადგენს.

გასათვალსიწინებელია ის ეკოლოგიური საფრთხეებიც, რაც შეიძება კაშხლის აშენებას მოჰყვეს. რადგან როგორც წესი, დიდი კაშხლების მშენებლობას წინასწარ განუსაზღვრელი და ნეგატიური გავლენა აქვთ გარემოზე. მაგალითად, თავის დროზე ასვანის კაშხალმა დააზიანა მდინარის, დელტისა და ხმელთაშუა ზღვის ეკოსისტემა, რასაც შედეგად სოფლის მეურნეობის წარმოების და თევზჭერის შემცირება მოჰყვა. მან ასევე გამოიწვია რიგი სეისმური მოვლენები ნასერის ტბაში წყლის დიდი ტევადობის გამო.

გარდა ეკონომიკური თუ ეკოლოგიური გავლენისა კაშხლის მშენებლობას სერიოზული პოლიტიკური შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს. თებერვალში საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ხალიდ ბინ სულთანმა მკაცრად გააკრიტიკა ეთიოპიური პროექტი და განაცხადა, რომ მისი ახლო ადგილმდეობარეობა სუდანის საზღვართან „პოლიტიკურ ხრიკს უფრო ჰგავდა, ვიდრე ეკონომიკურ მიზანს, რაც საფრთხეს წარმოადგენს ეგვიპტისა და სუდანის ეროვნული უსაფრთხოებისთვის“.

მსოფლიო ბანკს, ევროპის საინვესტიციო ბანკს, ჩინეთის იმპორტ-ექსპორტის ბანკსა და აფრიკის განვითარების ბანკს კაშხლების მშენებლობის დაფინანსების პრაქტიკა კი გააჩნიათ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კაშხლის აშენებით მომდინარე ეკოლოგიურმა თუ პოლიტიკური დაძაბულობის საფრთხემ ერთგვარად თავი შეაკავებინა კრედიტორებს საჭირო ფინანსების გამოყოფისგან. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ეთიოპიას პროექტის განხორციელების უფრო ნელ ტემპზე გადასვლა შესთავაზა. რამდენადაც ამ პროექტმა შესაძლოა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10% შთანთქას, ეს კი სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუშლის ხელს.

ოფიციალური კაიროს მტკიცებით, კაშხალი მდინარის დონის დაწევას გამოიწვევს ისედაც ნახევრად გაუდაბნოებულ ეგვიპტეში და შეამცირებს მიწათმოქმედებას.

მიუხედავად ყველაფრისა, ეთიოპია აცხადებს, რომ კაშხლის მშენებლობას გაწერილი გეგმის მიხედვით შეასრულებს და შიდა რესურსებით მაინც დაფარავს ხარჯებს. შესაძლოა, მან კიდევ უფრო მეტი დახმარება მიიღოს თავისი ერთგული მოკავშირე ჩინეთისგან, რომელიც მსოფლიოში ჰიდროელექტროსადგურების ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელია.

2012 წლის შემოდგომით ყველა საინფორმაციო საშუალება იტყობინებოდა ვიკილიკსის გამოქვეყნებული ინფორმაციის შესახებ. გახმაურებული დოკუმენტების მიხედვით, ტეხასის უსაფრთხოების კომპანია ეგვიპტესა და სუდანს ფარული გეგმის შემუშავებაში ამხელდა. გეგმის მიხედვით, ეს ორი ქვეყანა ასაფრენ-დასაშვები მოედნის აშენებას გეგმავდა, რათა ეთიოპიაში ცისფერი ნილოსის ხეობაში კაშხლის სამუშაო ადგილები დაებომბათ. როგორც ეგვიპტის, ისე სუდანის მთავრობამ ეს ინფორმაცია უარყო.

რეალურად არსებობდა თუ არა ამგვარი გეგმა 2012 წელს, უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ნილოსის აუზის გამო კონფლიქტებსა და მუქარებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ეგვიპტე და სუდანი ამტკიცებენ, რომ მათ ნილოსის წყალზე ისტორიული უფლება გააჩნიათ, რომელზეც ისინი აბსოლუტურად არიან დამოკიდებულნი. თავის მხრივ, მდინარის ზემო წელის ქვეყნები ეთიოპია, კენია, უგანდა, რუანდა, ბურუნდი და ტანზანია აცხადებენ, რომ მათაც სჭირდებათ წყალი, მითუმეტეს რომ ეს წყალი მათ მიწაზე იღებს სათავეს. ეს ქვეყნები წლების განმავლობაში ითხოვდნენ ამ დრომდე მოქმედი 1959 წლის ხელშეკრულების გადახედვას ნილოსის წყლების გადანაწილებასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო წყლის კანონს ჯერაც არ გადაუჭრია ნილოსიის წყლის ფლობის პრობლემა. 1966 წლის ჰელსინკის შეთანხმება ემხრობა „თანაბარი განაწილების“ პრინციპს. ეს იდეა კიდევ ერთხელ, 1997 წელს გაჟღერდა, გაერო–ს მიერ საერთაშორისო წყლის რესურსების არასანავიგაციო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ კანონზე მიღებულ რეზოლუციაში.

„თანაბარი განაწილების“ შემოთავაზება კვლავ იქნა გამოტანილი დღის წესრიგში 1999 წლის ნილოსის აუზის ინიციატივაში, რომელშიც ყველა „დაზარალებული“ ქვეყანა შედიოდა. სამწუხაროდ, ინიციატივამ ვერ მოახერხა საკითხის გადაჭრა ეგვიპტე-სუდანის მხარესა (რომლებიც

თავიანთ ისტორიულ უფლებებზე მიუთითებდნენ) და მდინარის ზემო დინების აფრიკულ სახელმწიფოებს შორის (რომლებიც თანაბარ უფლებებს ითხოვდნენ).

13 ივნისს ეთიოპიის პარლამენტმა ჩარჩო ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. შეთანხმებას 2010 წელს ეთიოპისთან ერთად ხელი მოაწერა ხუთმა აფრიკულმა სახელმწიფომ: უგანდამ, კენიამ, ბურუნდიმ, ტანზანიამ და რუანდამ. ნილოსის კომისია, რომლის შექმნასაც შეთანხმება ითვალისწინებს, ამოქმედდება მას შემდეგ, რაც ექვსივე ხელმომწერი ქვეყანა მოახდენს დოკუმენტის რატიფიცირებას. კომისიამ უნდა განახორციელოს ნილოსის წყლის განვითარებისა და თანაბარი მოხმარების მონიტორინგი, ასევე უზრუნველოს ხელმომწერი სახელმწიფოების უფლებები და მოვალეობები.

აშშ–ის სახელმწიფო დეპატრამენტის განცხადებით, ეგვიპტემ და ეთიოპიამ, მისმა ორმა მოკავშირე ქვეყანამ, დავა დიალოგის გზით უნდა გადაჭრან.

10 ივნისს ეგვიპტის იმდროინდელმა პრეზიდენტმა მ. მურსიმ განაცხადა, რომ არ აპირებს ომის წამოწყებას ეთიოპიის წინააღმდეგ ნილოსზე ახალი კაშხლის მშენებლობის გამო, მაგრამ ყველაფერს გააკეთებს მისი ქვეყნის წყლის რესურსების დასაცავად. მურსის თქმით, ნილოსის წყლის პრობლემა „პირად ინტერესებზე, პოლიტიკურ და პარტიულ აზრთა სხვადასხვაობაზე“ მაღლა დგას, სწორედ ამიტომ უნდა გაერთიანდეს სრულიად ეგვიპტის მოსახლეობა. ეგვიპტელი ექსპერტების აზრით, თუკი ეთიოპიური კაშხალი ამოქმედდება, ნილოსის წყლის ნაკადი 20%-ით შემცირდება. მაგრამ იმ დაძაბული საშინაო ვითარების და ცვლილებებს გათვალისწინებით, რაც ამჟამად ეგვიპტეშია, საეჭვოა რამდენად მოახერხებს არაბული სახელმწიფო ამ პროცესზე მისთვის სასურველი/დადებითი გავლენის მოხდენას. თავის მხრივ, არც ეთიოპია აპირებს პროექტზე უარის თქმას, რომელიც ქვეყანას მრავალრიცხოვანი ეკონომიკური პრობლემების (პირველ რიგში ენერგეტიკული) გადაჭრაში დაეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Carlson, Andrew. *Who owns the Nile? Egypt, Sudan and Ethiopia's History-Changing Dam,* 2013 (http://origins.osu.edu/article/who-owns-nile-egypt-sudan-and-ethiopia-s-history-changing-dam/page/0/0)

Gleik, Peter. *"The Promise and Threat of Ethiopia's Dam on the Nile: 21st century Water Conflicts"* (http://scienceblogs.com/significantfigures/index.php/2013/06/02/the-promise-and-threat-of-ethiopias-dam-on-the-nile-21st-century-water-conflicts)

გელოვანი, ნანი. *„წყლის რესურსები არაბულ ქვეყნებში“*; თანამედროვე არაბული ქვეყნები, 2008

http://www.hidasse.gov.et/web/guest/project-status/-/asset_publisher/7yX7/content/damstatus

http://www.gerd.gov.et/web/guest/home?p_p_id=56_INSTANCE_Y0zS&p_p_lifecycle=0&p_p_state=normal&p_p_mode=view&p_p_col_id=column-1&p_p_col_count=3&page=3

http://www.internationalrivers.org/blogs/227/sustainable-hydropower-%E2%80%93-ethiopian-style (vnaxo

https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/et.html

http://allafrica.com/stories/201306140122.html

http://www.bbc.co.uk/news/world-africa-22850124

http://www.bbc.co.uk/news/world-africa-22894294

http://www.britannica.com/EBchecked/topic/70320/Blue-Nile-River

http://www.water-technology.net/projects/grand-ethiopian-renaissance-dam-africa/

http://english.alarabiya.net/en/views/news/middle-east/2013/06/07/Water-the-Nile-and-war-.html

http://www.iimes.ru/?p=17648#more-17648

http://www.guardian.co.uk/commentisfree/2013/jun/19/nile-belongs-to-ethiopia-too

http://www.guardian.co.uk/world/2013/jun/18/egypt-ethiopia-dam-blue-nile

http://www.reuters.com/article/2013/06/18/us-ethiopia-egypt-nile-idUSBRE95H0F420130618

http://ga.water.usgs.gov/edu/riversofworld.html

http://news.yahoo.com/egypt-war-talk-raises-ethiopia-nile-dam-stakes-062931509.html;_ylt=A2KJ2Ug7VLhRtW8AeurQtDMD

სიმონ გურეშიძე

„თალიბანი“ და „დიდი თამაში“ ავღანეთში

გასული საუკუნის 70–იან წლების მიწურულს დაწყებული ავღანეთის ომის განმავლობაში, აშშ (1989 წლამდე) და საუდის არაბეთი (1991 წლამდე) საკუთარი მატერიალური მხარდაჭერით და პაკისტანელები "მუსლიმი ძმების" იატაკქვეშა სტრუქტურების დახმარებით აგზავნიდნენ ათასობით ისლამისტ მოხალისე მოჯაჰედს სამხედრო მომზადების ბანაკებში. ისინი ძირითადად იყვნენ არაბები, თურქები და ქურთები. სწორედ ამ მოხალისეებმა ითამაშეს დიდი როლი მოჯაჰედთა გამარჯვებაში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ავღანეთის ომის დასრულების შემდეგ, სპარსეთის ყურის მოვლენებთან დაკავშირებით, ისინი გამოვიდნენ თავიანთი ადრინდელი მფარველის, ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. ამერიკელებისა და საუდიელებისათვის გასაგები გახდა, რომ ის ისლამისტური დაჯგუფებები, რომლებსაც ადრე თვითონ მფარველობდნენ, მათი მოწინააღმდეგეები გახდნენ.

1994 წელს ავღანეთის ომის ავანგარდში პაკისტანის ინტერესების დასაცავად გააქტიურდა მოძრაობა "თალიბანი". ეს არის სუნიტური მოძრაობა, კონსერვატიულ-ფუნდამენტალისტური ტიპის, იგი ძალზე წააგავს სხვა საუდიურ მოძრაობებს (თუმცა მათი წარმოდგენები საკმაოდ განსხვავდება საუდის არაბეთში მოქმედი ვაჰაბიტთა (იგივე სალაფიტთა) დომინანტი რელიგიური მიმდინარეობის შეხედულებებისგან). ამის გამო იყო, რომ დასაწყისში აშშ.–სთვის ეს მოძრაობა სრულიად მისაღები აღმოჩნდა. გარდა ზემოთთქმულისა, ირანსაც არ შეეძლო ამ ორგანიზაციის თავის ინტერესებისათვის გამოყენება, რადგან ამ სახელმწიფოში ისლამის შიიტური მიმდინარეობაა გავრცელებული. მოძრაობა "თალიბანი" ჩაისახა ავღანეთ–პაკისტანის საზღვარზე მცხოვრებ პუშტუს ტომებში და შეძლო გაეერთიანებინა ყველა პუშტუნური ძალები, მათ შორის კომუნისტებიც და როიალისტებიც, რომლებიც ვერაფრით ურიგდებოდნენ იმ აზრს, რომ 1992 წელს ქაბული ხელში ჩაიგდო სამხრეთულმა ეთნიკურმა კოალიციამ (ტაჯიკები, უზბეკები და ნაზარიელები).

1994 წელს სიტუაცია ახალი ელემენტით შეივსო: ეს იყო ბუნებრივი აირი. თურქმენეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა ფლობს ბუნებრივი აირის უზარმაზარ მარაგს და სურდა მისი ექსპორტირება რუსეთის გვერდის ავლით, რადგან რუსეთთან თანამშრომლობის შემთხვევაში ანგარიშსწორება ხდებოდა რუსული რუბლებით და არა დოლარებით. პაკისტანს გაზი ძალზე ესაჭიროება და, გარდა ამისა, ეს ქვეყანა ცდილობს გახდეს გასაღების ბაზარი შუა აზიის ქვეყნებისათვის, რისთვისაც იყენებს ყარაჩისა და გვადარის პორტებს. ამერიკული ფირმა "United Oil Of California" გაერთიანდა საუდიურ ფირმა "დელტასთან" გაზსადენის გაყვანის მიზნით, რომელსაც უნდა დაეკავშირებინა თურქმენეთი ინდოეთის ოკეანესთან. ყოველივე ამის შედეგად, საუდის არაბეთის, პაკისტანისა და აშშ-ის უწინდელი კოალიცია, რომელიც თავის დროზე მხარს უჭერდა ავღანელ მოჯაჰედებს, რეანიმირებული იქნა პუშტუნი ფუნდამენტალისტ თალიბების გარშემო. ოდნავ მოგვიანებით კი აშშ-ის, პაკისტანისა და საუდის არაბეთის ფინანსებით შექმნილი "თალიბანი" გადაიქცა სუფთა ისლამისტურ, დასავლეთისგან დამოუკიდებელ დაჯგუფებად, რომელსაც გააჩნდა პრეტენზიები საკუთარ პოლიტიკურ როლზე.

1995 წელს, მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში თალიბებმა შეძლეს პუშტუნებით დასახლებული ქვეყნის ნაწილის სრული დაუფლება, დაიპყრეს ჰერათი და საბოლოოდ აიღეს ქაბული. საერთო ჯამში, მათ დაიქვემდებრეს მთელი ქვეყანა, სამხრეთ–აღმოსავლეთის გარდა (ფანჯერის რაიონი), რომელსაც განაგებდა გონიერი და მოხერხებული ტაჯიკი ლიდერი აჰმად შაჰ მასუდი, თუმცა 2001 წლის აგვისტოში თალიბებმა მისი მოკვლა მაინც შეძლეს: მასთან ინტერვიუზე

მისული ჟურნალისტი აღმოჩნდა თვითმკვლელი ტერორისტი, რომელმაც ვიდეოკამერაში ჩამონტაჟებული ბომბი აამოქმედა. აფეთქების შედეგად დაიღუპა თავად ტერორისტი, გენერალი შაჰ მასუდი და დაიჭრა იქ მყოფი რამოდენიმე პირი.

მიუხედავად იმისა, რომ თალიბები არ ამტკიცებენ ისლამური რევოლუციის აუცილებლობას, ისინი აქტიურად გამოდიან დასავლეთის გავლენის წინააღმდეგ და გააჩნიათ ძალზე გამოკვეთილი წარმოდგენა ისლამურ საზოგადოებაზე (ქალების სრული მორჩილება, შარიათის კანონების მკაცრი გამოყენება და ა.შ.). ისლამიზაციის პოლიტიკის საფარქვეშ, ისინი ატარებდნენ ავღანეთის ფაქტობრივი "პუშტუნიზაციის" კურსს (ტაჯიკების გადასახლება ქაბულის სამხრეთით არსებულ დაბლობზე და დედაქალაქში მცხოვრებ ნაზარიელთა შევიწროვება). მათ ქმედებებს შედეგად მოსდევდა ეთნიკური პოლარიზება ავღანეთში, რადგან ქმნიდნენ პუშტუნურ "პოლუსს", რომელსაც მხარს უჭერდნენ პაკისტანელები და არაბები, პარალელურად კი ყალიბდებოდა მეორე არაპუშტუნური "პოლუსი", რომელსაც ემხრობოდა რუსეთი და ირანი.

როგორც არ უნდა ყოფილიყო იქ სიტუაცია, ავღანეთში წარმოებული ომის წლებში ამერიკელების ყურადღების მიღმა დარჩა ისლამისტ ტერორისტთა მთელი თაობის ჩამოყალიბება. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსათვის (ცსს) ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ათასობით არაბი და ზოგადად არაავღანელი ჩადიოდნენ ამ ქვეყანაში იმისათვის, რომ მიეღოთ მონაწილეობა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. ამერიკული დაზვერვის ყურადღება ძირითადად მიმართული იყო ავღანეთისთვის იარაღის მიწოდებაზე. პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციამ დაავალა ცსს-ს დახმარება აღმოეჩინათ ავღანელებისათვის იარაღით და ასევე გაეწვრთნათ ისინი პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკაში ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით (ოპერაცია "ციკლონი"). ამით შემოიფარგლებოდა ამერიკის როლი ავღანეთის კონფლიქტში კარტერის, რეიგანისა და უფროსი ბუში პრეზიდენტობის პერიოდში. გარდა ამისა მათ ჰქონდათ, ბრწყინვალე პლაცდარმი მთაგორიანი რელიეფით 650 ათას კვადრატულ კილომეტრზე. იქ შესაძლებელი იყო ტერორისტთა ასობით ბანაკის და ათობით აეროდრომის განთავსება, რომლის მიგნება და განადგურებაც ძალზე რთული ამოცანაა. ამ პლაცდარმიდან მოქმედებდნენ ისინი ყველა მიმართულებით. მათ შორის ტაჯიკეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში, თათრეთსა და ბაშკირეთში – ერთი სიტყვით, ყოფილი საბჭოთა კავშირის მუსლიმურ ქვეყნებსა და რეგიონებში.

2001 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული 11 სექტემბრის მასშტაბური ტერაქტის შემდეგ, 7 ოქტომბერს ამერიკის და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ძალებმა შეტევა დაიწყეს ალ–კაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ. თალიბთა ხელისუფლება დაემხო მათი და ალ–კაიდას ლიდერები ჯერ მთებში გამაგრდნენ ხოლო შემდგომ პაკისტანში გადავიდნენ და უკვე იქიდან ახორციელებდნენ საბრძოლო ოპერაციებს.

საბრძოლო მოქმედების დაწყებიდან ათი წლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ავღანეთის სამშვიდობო პროცესებზე მოლაპარაკებების დაწყება კატარში. აღნიშნულ პროცესში ერთ–ერთ მხარედ მოიაზრებოდნენ თალიბებიც, 2012 წლის აპრილში ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ხალიდ ბინ მუჰამმად ალ–კატია შეხვდა თავის ავღანელ კოლეგას ზალამაი რასულს, შეხვედრის შემდეგ გამართულ კონფერენციაზე ალ–კატიამ განაცხადა, რომ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებდნენ თალიბებიც. მან ასევე დაამატა, რომ მალე ხელი მოეწერებოდა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას და ქაბულში გაიხსნებოდა კატარის საელჩო. მან ასევე აღნიშნა ისიც, რომ თალიბების ოფისის გახსნა დოჰაში, ბიძგს მისცემდა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას.

თალიბანმა ამ ქვეყანაში 2012 წლის იანვარში გახსნა თავისი პოლიტიკური ოფისი, ეს ნაბიჯი პოზიტიურად იქნა შეფასებული, რადგან იძლეოდა იმ პერიოდისთვის უკვე 10 წლიანი ომის დასრულებისთვის კომპრომისების მიღწევისა და ურთიერთშეთანხმების პოვნის გზების მოძებნის საშუალებას. მოლაპარაკებების დაწყების ერთ–ერთი წინაპირობა იყო გუანტანამოს ციხეში მყოფი

თალიბი ლიდერების გათავისუფლებაც. თუმცა ამ ყველაფერს ხელი შეუშალა და შეაჩერა, ამერიკელი სამხედროს მიერ მიმდინარე წლის 11 მარტს 16 მშვიდობიანი ავღანელის მკვლელობამ, რომელთა შორისაც იყვნენ არასრულწლოვნები. სულ მალე თალიბებმა პირობა დადეს, რომ შურს იძიებდნენ დაღუპულთა გამო, ყოველივე ამას კი წინ უძღვოდა ამერიკელი სამხედროების მიერ ყურანის დაწვის ფაქტი რასაც მოჰყვა საპროტესტო აქციები და შეტაკებები, რის შედეგადაც მომხდარით აღშფოთებულმა ავღანელმა პოლიციელმა ნატო–ს ორი უმაღლესი მრჩეველი მოკლა.

მოგვიანებით, თალიბებმა იერიში მიიტანეს სამთავრობო დაწესებულებებზე, საელჩოებსა და უცხოელი სამხედროების დისლოკაციის ადგილებზე ქაბულსა და სხვა ქალაქებში. პროვინცია ლოგარში თავდასხმა მოხდა სამთავრობო შენობებზე, ჯალალაბადში – აეროპორტზე და პოლიციის პუნქტებზე, ქალაქ გერდეზზე პაკტიის პროვინციაში. ბრძოლა გრძელდებოდა 17 საათის განმავლობაში, რის შედეგადაც დაიღუპა 36 თალიბი და რვა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, დაშავდა 60 ადამიანი, აქედან 25 სამოქალაქო პირი.

უცხოურმა ძალებმა მაღალი შეფასება მისცეს ადგილობრივი ძალების ეფექტურ მოქმედებას. თუმცა, ავღანეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრმა შუქრია ბარაქზაიმ განუცხადა საგენტო BBC–ს, რომ მისი აზრით, ავღანური ძალები მარტო ვერ გამუკლავდებოდნენ თავდამსხმელებს უცხოური ძალების მხარდაჭერის გარეშე. მან ასევე მოითხოვა „ნათელი პასუხი“ ხელისუფლებისგან, თუ რატომ ვერ შეძლეს მოკლე დროში ეფექტური კონტრიერიშის განხორციელება თალიბების წინააღმდეგ. მიმომხილველთა აზრით, თალიბებმა ამ მოქმედებით აჩვენეს, რომ მათ შეუძლიათ ოპერაციები განახორციელონ ქაბულის ცენტრში. ამ საბრძოლო მოქმედებებმა თავი მხრივ გამოიწვია შეშფოთება იმის გამო, თუ როგორ მოხერხდება ქვეყანაში უსაფრთხოების შენარჩუნება მას შემდეგ, რაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 2014 წელს გაიყვანს თავის ძალებს ქვეყნიდან და პასუხისმგებლობას სტაბილურობაზე აიღებს ავღანური მხარე.

ამ მოვლენების პარალელურად, ავღანეთის დაზვერვის ოფიცრის მიერ მოწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით, გავრცელდა შემდეგი სახის ინფორმაცია: ტყვედ ჩავარდნილმა ერთ–ერთმა თავდამსხმელმა აღიარა, რომ მათ დაჯგუფება იყო 200 კაციან თვითმკვლელთა რაზმის ნაწილი და მათ ოპერაციების განხორციელება დაევალათ ჩიკაგოში მოახლოებული ნატოს სამიტის წინ. ავღანელ და და პაკისტანელ თვითმკვლელ ტერორისტებთა ჯგუფი მომზადდა ბარდუდინ ჰაქქანის ხელმძღვანელობით მირამ შაჰში – პაკისტანში, ჩრდილოეთ ვაზირისტანში. ეს ინფორმაცია დაადასტურა რაიან კროკერმაც, აშშ–ის ელჩმა ქაბულში და თქვა: „არანაირ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს თავდასხმა განახორციელა თალიბანის ფილიალმა – კერძოდ კი ჰაქქანის ქსელმა“.

თავდასხმის მეორე დღეს, ავღანეთის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა რაჰმათულლაჰ ნაბილმა პარლამენტში განაცხადა, რომ მათ უწყებას წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელ საფრთხეზე, რადგან მათთვის ცნობილი იყო, თავდასხმების რიცხვი იზრდება მაშინ, როდესაც პაკისტანის მედრესეებში (ისლამური სასწავლებლები) იწყება სეზონური არდადეგები. შედეგად, ავღანური პოლიცია საფრთხეს მომზადებული დახვდა. თავის მხრივ ჯავად ქოჰისტანმა, უსაფრთხოების საკითხების ანალიტიკოსმა და დაზვერვის ყოფილმა ოფიცერმა, მას–მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ სპეცსამსახურები არ იყვნენ მომზადებულები მსგავსი ტიპის თავდასხმების მოგერიებისთვის, რამაც გავლენა იქონია ადეკვატური რეაგირების განხორციელებაზე. „მათ არ გააჩნიათ სტრუქტურა და სათანადო ფინანსები იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ისეთ მტერს, რომელიც იწვრთნება და აღჭურვილობას იღებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ.“ მიუხედავად იმისა, რომ ავღანელი ძალოვნები აცხადებდნენ თავიანთი მზადყოფნის შესახებ, არ არსებობდა არანაირი კოორდინაცია. დეპუტატებიც კი ისროდნენ პარლამენტის შენობიდან რაც საქმეს კიდევ უფრო ართულებდა. „წინა თავდასხმებიდან განსხვავებით, ამჟამად თალიბებმა უკვე ისწავლეს თუ რომელი იარაღია უფრო ეფექტური ქალაქში ოპერაციების ჩასატარებლად“, – დაამატა მან.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, სამშვიდობო პროცესის მოლაპარაკებების წარმოებას ხელს უშლიდა კიდევ ერთი გარემოებაც; ავღანეთის მოსახლეობის მძაფრ კრიტიკას იწვევდა ვაშინგტონსა და ქაბულს შორის დაწყებული მოლაპარაკებები ღამის რეიდების შესახებ, რაც ითვალისწინებდა ავღანელთა სახლების ჩხრეკას ისეთი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რაც ხელს შეუწყობდა სადაზვერვო მონაცემების შევსებას. პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი კი მოითხოვდა ყოველგვარი ღამის ოპერაციების შეწყვეტას უცხოური ძალების მხრიდან, რადგან მისი აზრით, ეს ზრდიდა მშვიდობიანი მოსახლეობიდან მსხვერპლის რისკს და იგი ასევე აღიქმებოდა ამერიკელ სამხედროთა მხრიდან შეურაცხმყოფელ მოქმედებებად.

საბოლოოდ კომპრომისულ მემორანდუმს მაინც მოაწერეს ხელი 8 აპრილს ავღანეთის თავდაცვის მინისტრმა გენერალმა აბდელ რამინ ვარდაკმა და აშშ–ის ძალების სარდალმა ჯონ ალენმა. შეთანხმების თანახმად, ავღანურმა მხარემ მიიღო ვეტოს უფლება დასახლებულ პუნქტებში ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებით. მსგავსი აქციები ჩატარდება მაღალჩინოსანი ავღანელი სამხედროების ნებართვით და გარდა ამისა, მშვიდობიანი მოსახლეობიდან ადამიანის დაღუპვის შემთხვევაში პასუხისმგებლები იქნებიან არა მარტო ამერიკელები, არამედ ავღანელებიც. ქვეყნის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი მოითხოვდა, რომ ხელშეკრულებას ხელმოწერა მომხდარიყო მხოლოდ ერთი პირობით: ვაშინგტონს ყოველწლიურად უნდა დაეფინანსებინა ავღანეთის უსაფრთხოების ძალები რამოდენიმე მილიარდი დოლარის ოდენობით. დათანხმდა თუ არა ვაშინგტონი ამ პირობას, ცნობილი არ არის.

2012 წლის 1 მაისის საღამოს ქაბულში ჩავიდა ა.შ.შ.–ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა რომელმაც ჰამიდ კარზაისთან ერთად ხელი მოაწერა ხსენებულ შეთანხმებას. ხოლო მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც მან დატოვა ქვეყანა, მოხდა აფეთქებების სერია. თავდასხმები განხორციელდა იმ სასტუმროში რომელშიც ცხოვრობდნენ გაერო–სა და ევროკავშირის ორგანიზაციების თანამშრომლები. დაიღუპა ექვსი ადამიანი, მომხდარზე პასუხისმგებლოა კი აიღო მოძრაობა თალიბანმა.

გარდა ამისა, გახშირდა შემთხვევები რომლის დროსაც ავღანეთში ISAF–ის პროგრამის ფარგლებში მომსახურე ჯარისკაცი მოკლა დაუდგენელმა პირმა რომელიც ასევე ჩაცმული იყო ავღანური ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცის ფორმაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მსგავსი ხელწერით ჯამში 28 ჯარისკაცი იქნა მოკლული. აღნიშნული სქემით უცხოური სამხედრო კონტინგენტის წევრთა მკვლელობებსა და სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით, თალიბანის ლიდერმა მულა ომარმა გასული წლის აგვისტოში თალიბთა ვებ–გვერდზე გამოაქვეყნა შვიდგვერდიანი მიმართვა. მისი განცხადებით, თალიბთა შეტევებმა აიძულა ამერიკელები და ავღანეთის ხელისუფლება დაეკავებინათ თავდაცვითი პოზიციები. რაც შეეხება ავღანური ძალების მიერ განხორციელებულ თავდასხმებს ნატო–ს ჯარისკაცების წინააღმდეგ, ეს იყო ავღანეთის უშიშროების ძალებში თალიბთა ჩანერგვის შედეგი. თალიბთა შორის გაურკვევლობის გასაფანტად, აშშ–სთან სავარაუდო მოლაპარაკებების შესახებ ომარმა აღნიშნა, რომ „მოლაპარაკება არ ნიშნავს მორჩილებას ან ჩვენს მიზნებზე უარის თქმას“. მისი განცხადებით მოლაპარაკებები იწარმოებდა ტყვეთა გაცვლაზე, პოლიტიკური ოფისების გახსნასა „საკუთარი მიზნების მიღწევებზე“. „თალიბები მოელაპარაკებიან სხვა ავღანურ დაჯგუფებებს მას შემდეგ, რაც ქვეყანას დატოვებენ დამპყრობლები. თალიბები ყოველთვის უარს ამბობდნენ ჰამიდ კარზაის მთავრობასთან პირდაპირი მოლაპარაკებებების წარმოებაზე. რაც შეეხება ქალების უფლებებს, ომარმა განაცხადა: „თალიბანის მთავრობა ქალებს მიანიჭებს ყველა კანონიერ უფლებას, რაც შეესაბამება ისლამის პრინციპებს, ნაციონალურ ინტერესებსა და ჩვენს კეთილშობილ კულტურას.“

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გასული წლის გაზაფხულზე ქაბულში მოკლეს არსალა რაჰმანი, პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის მრჩეველი და წარსულში ქვეყნის პრემიერ მინისტრი. მას ეს პოსტი ეკავა რამოდენიმე თვის განმავლობაში 1992 წელს; მანამდე კი ცნობილი იყო, როგორც საველე მეთაური, რომელიც ებრძოდა საბჭოთა ძალებს. 1996–2001 წლებში იგი იყო უმაღლესი განათლების მინისტრი თალიბების მთავრობაში, თუმცა, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დატოვა

ისლამისტთა რიგები და შევიდა კარზაის მთავრობაში. ბოლო წლებში არსალა რაჰმანი იყო მშვიდობის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც ახდენდა მთავრობასა და თალიბანს შორის მოლაპარაკებების კოორდინაციას. ცნობილია, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იგი დაუახლოვდა ამ მოძრაობის „მაღალჩინოსნებს“. მისი სიკვდილისთანავე გავრცელდა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ეს ფაქტი ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებდა მოლაპარაკებების პროცესებზე.

საბოლოოდ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, 2001 წელს დაწყებული სამხედრო ოპერაციის ათი წლის თავზე სამშვიდობო პროცესების მოლაპარაკებებში თალიბთა ჩართულობა გვიჩვენებს, რომ ეს მოძრაობა ჯერ კიდევ ფლობს მნიშვნელოვან ძალებს, არაა დაქსაქსული და მზად არის გადავიდეს უფრო ფართომასშტაბიან მოქმედებებზე იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ არ გატარდება ეფექტური კონტროლონისძიებები. სავარაუდოა რომ 2014 წლეს აშშ–ისა და კაოლიციის ძალების მიერ ავღანეთის დატოვების შემდეგ სიტუაცია კვლავ ძალზე დაძაბული და არაპროგნოზირებადი დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

http://www.aljazeera.net/news/pages/9fd41bc3-7294-49dd-837d-99f19d396f83?GoogleStatID=9
http://www.aljazeera.com/news/asia/2012/03/201231512748620425.html
http://m.irishtimes.com/newspaper/breaking/2012/0404/breaking3.htm?via=latest
http://www.aljazeera.com/news/asia/2012/04/2012488573337183.html
http://top.rbc.ru/politics/09/04/2012/645330.shtml
http://www.aljazeera.net/news/pages/1f442cac-eaa9-4fff-a6b2-ca86fb40d10f?GoogleStatID=1
http://lenta.ru/news/2012/03/12/lewis/
http://www.almasryalyoum.com/node/672331
http://www.jpost.com/International/Article.aspx?id=258870
http://www.bbc.co.uk/news/world-asia-17724261
http://www.humanevents.com/article.php?id=49759
http://lenta.ru/news/2012/04/17/givememoney/
http://www.aljazeera.com/indepth/features/2012/04/20124198132499838.html
http://www.aljazeera.net/news/pages/bb144f85-7055-4aeb-8f0c-c48818c9fb40?GoogleStatID=1
http://www.nytimes.com/2012/08/08/world/asia/8-civilians-killed-in-bombing-near-kabul.html?_r=2&ref=world
http://lenta.ru/news/2012/08/10/afghan/
http://www.aljazeera.com/news/asia/2012/08/201281071945758235.html
http://www.nytimes.com/2012/08/15/world/asia/suicide-attackers-kill-at-least-29-in-afghan-bazaar.html?ref=world
http://www.egyptindependent.com/news/grenades-east-afghan-mosque-wound-9
http://www.aljazeera.com/news/asia/2012/08/201281412411098743.html
http://www.aljazeera.com/news/asia/2012/08/201281765122731439.html
http://www.nytimes.com/2012/08/20/world/asia/taliban-keep-up-attacks-on-officials-in-afghanistan.html?_r=1&ref=world
http://www.nytimes.com/2012/08/24/world/asia/afghan-troops-killing-colleagues-in-greater-numbers.html?_r=1&ref=world
http://www.aljazeera.com/news/asia/2012/08/20128275164065281.html
http://www.aljazeera.net/news/pages/7dcb0b1c-8588-4bd0-adfc-64a8ce0538a0?GoogleStatID=9
Кожушко, Е. *Современный терроризм, анализ основних направлении*. Мн., 2000.
Жаринов Т. *Терроризм и террористы: исторический справочник.* Мн., 1999.

მირანდა ბაშელეიშვილი

ავღანეთი ირანის რეგიონულ პოლიტიკაში

ირანს ავღანეთთან მჭიდრო ისტორიული, კულტურული და ლინგვისტური კავშირები აქვს, განსაკუთრებით ჰერათის პროვინციაში მცხოვრებ ეთნიკურ ტაჯიკებთან, რომლებიც დარიზე ლაპარაკობენ და ასევე, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ავღანეთში მოსახლე ხაზარებთან, რომლებიც შიიტურ ისლამს აღიარებენ.

1979 წელს ირანის ისლამური რევოლუციის და ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიძაბა. ირანმა დახურა თავისი საკონსულო ჰერათში, ასევე მუშაობა შეწყვიტა ავღანეთის საკონსულომ მაშჰადში. ირანი ეწინააღმდეგებოდა ავღანეთში პრო-საბჭოური რეჟიმის არსებობას და ის შიიტურ დაჯგუფებებს პრო-საბჭოური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ირანი ფინანსურ დახმარებას უწევდა ისლამური რევოლუციის მიმართ ლოიალურად განწყობილ ავღანელი მებრძოლების ლიდერებს.

1996 წელს ავღანეთში თალიბების მმართველობის დამყარების შემდეგ და მათ მიერ ავღანეთის შიიტი მოსახლეობის, კერძოდ ხაზარების მიმართ მკაცრმა მოპყრობამ ირანი თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ განაწყო. ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა 1998 წელს თალიბების მიერ ავღანეთის ჩრდილოეთით ქ. მაზარ–ე შარიფში ირანის საკონსულოზე თავდასხმის და 11 ირანელი დიპლომატის მკვლელობის შემდეგ. ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ თალიბები ისლამური რწმენის მოწინააღმდეგე ჯგუფად გამოაცხადა. აღნიშნული ინციდენტი ირანსა და თალიბებს შორის თითქმის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 2001 წელს ირანმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო კოალიციური ძალების ანტიტერორისტულ ოპერაციას ავღანეთში. ჰამიდ ქარზაის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქაბულში გაიხსნა ირანის საელჩო და ავღანეთის სხვა ქალაქებში ირანის საკონსულოები.

ირან-ავღანეთის ურთიერთობების ძირითადი ასპექტები

მართალია ირანმა 2001 წელს მხარი დაუჭირა სამშვიდობო კოალიციის ოპერაციას ავღანეთში, მაგრამ ირანისთვის ამერიკის ჯარების ყოფნა ავღანეთში მიუღებელია. 2010 წელს ირანის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. მოთაქიმ ავღანეთში სტაბილურობის დამყარებასთან დაკავშირებით ირანის პოზიცია ასე შეაჯამა:

- *ავღანეთის კონსტიტუციის მიღება დიდი მიღწევაა და უნდა მოხდეს მისი დახვეწა და სრულყოფა;*
- *უცხოელი ჯარისკაცების რიცხვის გაზრდა ავღანეთში მშვიდობის დამყარებისთვის არ იქნება დამხმარე;*
- *თავიდან უნდა იქნას აცილებული ტერორიზმთან ბრძოლის ორმაგი სტანდარტები;*
- *უსაფრთხოება და განვითარება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, შესაბამისად ავღანეთის ინფრასტუქტურის განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ირანი აგრძელებს ავღანეთის რეკონსტრუქციისთვის ხელშეწყობას;*
- *ავღანეთში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისთვის სწორ მიდგომად ირანი რეგიონული თანამშრომლობისთვის მხარდაჭერას მიიჩნევს.*

ირან-ავღანეთის თანამედროვე ურთიერთობებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მთავარი საკითხი, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე, არამედ რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებზე: **1.ირანის ფინანსური მხარდაჭერა ავღანეთის მთავრობასა და ქვეყნის განვითარების პროცესიისთვის; 2.ირან-ავღანეთის პრობლემა წყლის შესახებ; 3.ავღანელი ლტოლვილების და 4. ნარკოტიკების საკითხი. 5.ირანის ფარული დახმარება უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების მებრძოლებისადმი.**

ირანის ფინანსური მხარდაჭერა ავღანეთის მთავრობისადმი და ქვეყნის აღმშენებლობის პროცესისადმი

2001 წელს თალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგ ირანი მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ავღანეთის მთავრობას. თეირანი ფინანსურ დახმარებას ძირითადად ნაღდი ფულის სახით გადასცემს ავღანეთის ხელისუფლებას. 2010 წელს საკმაოდ დიდი სკანდალი მოჰყვა გაზეთ New York Times-ის მიერ გამოცხადებულ ინფორმაციას, ავღანეთში ირანის ელჩის მიერ პრეზიდენტ ქარზაისთვის დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის გადაცემის ფაქტს. პრეზიდენტ ქარზაის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან ავღანეთი ოფიციალურად იღებდა დახმარებას მეზობელი ირანიდან. ავღანეთის პრეზიდენტმა ამას გამჭვირვალე პროცესი უწოდა. მის თქმით, ირანი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ავღანეთს 500-600-700 ათასი ევროთი ეხმარება. 2002 წ. ირანმა 560 $ მილიონი დახმარების სახით გამოუყო ავღანეთს, 2006 წელს 100$ მილიონი და 2008 წელს პარიზის კონფერენციაზე 50$ მილიონი დახმარების სახით მისცა, ხოლო 300$ მილიონი სესხად.

გარდა ფულადი დახმარებისა, ირანმა ჰერათის ირანთან დამაკავშირებელი 122 კილომეტრიანი გზატკეცილი ააგო, რომელიც 2005 წლის იანვარში გაიხსნა. ის ასევე აგებს გზებს და სარკინიგზო მაგისტრალებს, რომლებიც ავღანეთს დასავლეთ ნაწილს ირანის პორტ ჩაბაჰართან დააკავშირებს. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მაისის დასაწყისში ირანმა და ავღანეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ავღანეთის სავაჭრო გემებს ირანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ჩაბაჰარის პორტის გამოყენების უფლება მიეცათ. ხელშეკრულების მიხედვით, ავღანეთი პორტის მახლობლად 50 ჰექტრის ფართობზე სავაჭრო ცენტრს ააშენებს, რომელსაც ავღანეთის მოქალაქეები ერთი წლის მანძილზე გამოიყენებენ. აღნიშნულ ფაქტს მიესალმა ავღანეთის მთავრობა და ოფიციალურ პირთა განცხადებით, ჩარბაჰარის პორტით სარგებლობა ავღანეთს სავაჭრო-სანტრანზიტო პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება და მსოფლიო ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობას მისცემს.

ირანს ამერიკა ოფიციალურად ადანაშაულებს ავღანელი პოლიტიკოსების, კერძოდ ავღანეთის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატების მოსყიდვაში. “Wikileaks”-ის მონაცემების მიხედვით, 2009-2010 წლებში ამერიკის საელჩო ავღანეთში აცხადებდა, რომ ირანის მთავრობის წარმომადგენლები ავღანეთის პარალმენტს მოუწოდებენ ანტიკოალიციური პოლიტიკური კურსის გატარებისკენ, ზოგიერთი ავღანელი დეპუტატი ცდილობს ირანის პოლიტიკურ გეგმებს და მიზნებს მხარი დაუჭიროს და იყოს თეირანის მარიონეტი.

წყლის საკითხი ირან-ავღანეთის ურთიერთობებში

ირანსა და ავღანეთს შორის 1870 წლიდან წყალთან დაკავშირებული პრობლემა არსებობს. ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციები ძირითადად მდინარე ჰელმანდის წყალზე არიან დამოკიდებული. მდინარე ჰელმანდი ქაბულის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჰინდიყუშის

მთებიდან მოედინება და 1,188 კმ-ზე ირანის სისთანის და ბელუჯისტანის პროვინციას ესაზღვრება. ავღანეთის რამდენიმე კაშხალი და ჰელმანდის პროვინციის საირიგაციო სისტემა მდ. ჰელმანდზეა დამოკიდებული. 1973 წელს ირანსა და ავღანეთს შორის წყლის შესახებ შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვითაც ირანს წამში 26 კუბური მეტრი წყლის გამოყენების უფლება ეძლეოდა. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების რატიფიცირება არ მომხდარა. 1999 წელს თალიბებმა ირანს წყალი გადაუკეტეს, რამაც ირანს დიდი ზარალი მიაყენა. 2001 წელს თალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგაც წყლის საკითხი ირანსა და ავღანეთს შორის კვლავაც მოუგვარებელი რჩება. ინდოეთის მიერ დაფინანსებული პროექტი ჰერათის მახლობლად 150 მილონ დოლარიანი, სალმას კაშხლის რეკონსტრუქციისა ირანის საელჩოს მკვეთრი ზეწოლის შედეგად შეჩერდა. 2009 წელს ირანული ასაფეთქებელი მოწყობილობა იქნა აღმოჩენილი ფარაჰის პროვინციაში მდებარე ბახსაბადის კაშხლის მახლობლად, რომელიც 2,2 მილონ დოლარიან პროექტზე მომუშავე ინჟინრების წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადებით, ირანის ხელისუფლება იყენებს ყველა ხერხს, რათა შეაჩეროს პროექტის განხორციელება, რაც მკვეთრად შეამცირებს წყლის მიწოდებას ირანისთვის.

ლტოლვილების საკითხი ირან-ავღანეთის ურთიერთობებში

ირან-ავღანეთის ურთიერთობების კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ლტოლვილების თემა. ირანში დაახლოებით 1 მილიონი ავღანელი ლტოლვილი და 3 მილონამდე ავღანელი ემიგრანტი ცხოვრობს. ბოლო წლების განმავლობაში მასიური სახე მიიღო ირანიდან ავღანელი ლტოლვილების დეპორტაციამ. ქაბულში განიხილებოდა საკითხი, რომ ირანიდან დეპორტირებული ავღანელები შესაძლოა ირანს, ავღანეთს და ამერიკას შორის მოლაპარკებების დროს ვაჭრობის საგანი გამხდარიყო. ავღანელი ლტოლვილების პირველი ტალღა ირანში 80-იან წლებში ჩავიდა. პირველად ირანი დადებითი განწყობით შეხვდა მათ და უფლება მისცა დიდი ქალაქების შემოგარენში ჩასახლებულიყვნენ და ემუშავათ. დეპორტაციის პირველი ტალღა 1992 წელს განხორციელდა. თალიბების რეჟიმის დროს ირანში ავღანელი ლტოლვილების კიდევ ერთი ტალღა ჩავიდა. 2012 წლის აპრილში ირანმა, ავღანეთმა და პაკისტანმა ლტოლვილების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე გააკეთეს განცხადება. ამ ქვეყნებს შორის იგეგმება ხელშეკრულების დადება, რომლის მიხედვითაც ავღანელ ლტოლვილებს ირანსა და პაკისტანში დარჩენა 2017 წლამდე შეეძლებათ.

ნარკოტიკების ტრეფიკი

ნარკოტიკების ტრეფიკი ირან-ავღანეთის ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ავღანეთში მსოფლიო ოპიუმის 90% წარმოება ხდება. ირანი ეწინააღმდეგება ავღანეთიდან ნარკოტიკების ტრეფიკს ირანში და დასავლეთს მოუწოდებს უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინოს ამ პრობლემასთან საბრძოლველად. ირანში დაახლოებით 1.2-2.5 მილიონი ადამიანი ნარკოტიკებზეა დამოკიდებული. ავღანეთში წარმოებული ოპიუმის დაახლეობით 40%-ის ტრაფიკი ირანის საზღვრის გავლით ხდება. გარდა დიდი სოციალური პრობლემის შექმნისა, ირანში ნარკოტიკები სტაბილურობის მხრივ დიდ პრობლემას ქმნის. ირან-ავღანეთის საზღვარზე ინტენსიური შეტაკებები მიმდინარეობს უსაფრთხოების ძალებსა და კარგად შეიარაღებულ ნარკობარონებს შორის. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა თავისი ძალები ქ. ზაჰედანში გააძლიერა ნარკოტიკების ტრეფიკის და ირან-ავღანეთის საზღვრის კონტროლისთვის.

ნარკოტიკების ტრეფიკის საკითხი ორი ქვეყნის ურთიერთობებში ამ ეტაპზეც აქტუალურია. მიმდინარე წლის ივლისში ირანში ნარკოტიკების ტრეფიკში ბრალდებული ავღანეთის 12 მოქალაქე სიკვდილით დასაჯეს. გავრცელებული ინფორმაციით, ირანის ციხეებში სხვადასხვა ბრალდებებით დაახლოებით 5 ათასი ავღანელი იხდის სასჯელს.

ირანის ფარული მხარდაჭერა თალიბებისადმი

დასავლეთი ირანს ავღანეთში თალიბების საიდუმლო მხარდაჭერაში ადანაშაულებს. ამის ერთ-ერთ მტკიცებულებად თალიბებთან აღმოჩენილი იარაღი განიხილება. განსაკუთრებით გაიზარდა ირანული სამხედრო იარაღის აღმოჩენის ფაქტები ავღანეთში 2005 მაჰმუდ აჰმადინეჟადის გაპრეზიდენტების შემდეგ. საკმაოდ რთული დასადგენია, თუ რა დონეზე ხდება ირანის მიერ თალიბებისადმი მხარდაჭერა. ხშირად მიუთითებენ „ყოდსის“ ძალებზე, რომლებიც ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ელიტარული ქვედანაყოფია და ძირითადად, ქვეყნის გარეთ ტერორისტული ჯგუფების გაწვრთნაზეა ორიენტირებული. ისინი უშუალოდ სულიერ ლიდერს ემორჩილებიან. 2010 წლის დეკემბერში ISAF-ის ძალებმა ყანდაჰარის პროვინციაში თალიბების ერთ-ერთი მეთაური დააპატიმრეს, რომელიც ირანის „ყოდსის“ ძალებთან იყო დაკავშირებული და ირანული იარაღი ჰქონდა. მას ასევე კავშირი ჰქონდა სხვა ტერორისტებთან და მათ იარაღით ამარაგებდა. ავღანეთში განლაგებული საერთაშორისო კოალიციური ძალების სამხედრო მაღალჩინოსანთა ინფორმაციით, ირანი ასევე მხარს უჭერს ალ-ქაიდას ძალებს, რომლებიც ძირითადად ავღანეთის დასავლეთ პროვინციაში მოქმედებენ.

მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ რადგან ირანმა ნატოს ანტიტერორისტულ ოპერაციას დაუჭირა მხარი, ირანული იარაღი შავ ბაზარზე ყიდვის შედეგად ხვდება ავღანეთში. დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებით, ავღანეთში ტერორისტებთან აღმოჩენილი ყოველი ათი კალაშნიკოვიდან 1 ირანულია.

დასკვნა

ავღანეთს ირანის რეგიონულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს განპირობებულია ერთი მხრივ, ორი ქვეყნის საერთო ისტორიულ-კულტურული წარსულით და ასევე, ირანის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. სტრატეგიული მდებარეობის გამო, მოსაზღვრე ავღანეთში არსებული ვითარება გავლენას ახდენს ირანზე.

ირანის პოლიტიკა ავღანეთის მიმართ 2001 წელს თალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგ შეიძლება შეფასდეს, როგორც ორმაგი სტანდარტების მქონე. ირანი ერთი მხრივ, მხარს უჭერს ავღანეთის მოქმედი პრეზიდენტის, ჰამიდ ქარზაის მთავრობას და ავღანეთის აღმშენებლობის პროცესს და ასევე, თალიბებთან საიდუმლო კავშირი აქვს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის ივნისში თალიბების დელეგაციამ ირანის ისლამური რესპუბლიკის უსაფრთხოების მაღალჩინოსნებთან მოლაპარკებები გამართა, თუმცა ოფიციალურ თეირანს აღნიშნული ფაქტი არ დაუდასტურებია. ასეთი „დამაბალანსებელი ქმედება“ ავღანეთის მიმართ ირან-ამერიკის კონფრონტაციას უკავშირდება. ირანი ეწინააღმდეგება თალიბების რეჟიმს, მაგრამ არ სურს ამერიკის მტკიცე პოზიციების არსებობა მეზობელ ავღანეთში. ირანმა გააპროტესტა 2012 წლის 2 მაისს ავღანეთსა და აშშ-ს შორის გრძელვადიანი სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ავღანეთში აშშ-ს სამხედრო ბაზების განლაგებას ითვალისწინებს. ოფიციალურ თეირანს განსაკუთრებით მწვავე რეაქცია ჰქონდა, ირანის

მოსაზღვრე ჰერათის პროვინციაში აშშ-ს სამხედრო ბაზის შესაძლო განლაგებასთან დაკავშირებით. ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის, ბირთვულ დოსიესთან დაკავშირებული საკითხების გამო დასავლეთთან არსებული დაძაბული ურთიერთობების პირობებში, მოსაზღვრე ავღანეთში აშშ-ს სამხედრო ბაზების ხანგრძლივი ვადით განლაგება მიუღებელია.

სავარაუდოდ, ავღანეთში 2014 წელს ISAF-ის სამშვიდობო მისიის დასრულების შემდეგ, ირანი შეეცდება თავისი გავლენის შენარჩუნებას და გაზრდას. ამისთვის ირანის ისლამურ რესპუბლიკას ხელს შეუწყობს ავღანეთში და განსაკუთრებით, ჰერათის პროვინციაში აღმშენებლობის და რეკონსტრუქციის პროცესისადმი გამოვლენილი მხარდაჭერა. გარდა შიიტი ხაზარებისა, ირანი იდეოლოგიურ მხარდაჭერას გამოხატავს ლინგვისტურად სპარსულთან მონათესავე ენაზე მოლაპარაკე სუნიტებთან. აღსანიშნავია, რომ ირანის ინტერესები ავღანეთის მიმართ, უფრო პოლიტიკურია, ვიდრე ეკონომიკური.

გამოყენებული მასალები:

http://www.longwarjournal.org/archives/2010/12/exclusive_isaf_captu.php
http://www.tolonews.com/en/afghanistan/6133-iran-voices-concerns-over-afghan-us-agreement-
http://www.tolonews.com/en/afghanistan/6151-afghan-lawmakers-warn-iran-against-interfering
http://www.bbc.co.uk/persian/afghanistan/2012/05/120507_k01_iran_afg_us_deal_zohrehvand.shtml
http://www.rand.org/content/dam/rand/pubs/occasional_papers/2011/RAND_OP322.pdf
http://www.diis.dk/graphics/Publications/Reports2011/RP2011-03-Strained-Alliances_web.pdf
http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/tehranbureau/2010/08/the-iranian-influence-in-afghanistan.html
http://www.bbc.co.uk/persian/afghanistan/2012/05/120510_k02-afghan-iran.shtml
http://www.radiofarda.com/content/o2_iran_afghanistan_treaty/24577032.html
http://www.bbc.co.uk/persian/afghanistan/2013/07/130708_zs_afghan_prisoners_iran_execution.shtml
http://www.tolonews.com/en/afghanistan/6017-ahmadinejad-endorses-afghanistan-iran-prisoner-transfer-deal-
http://www.presstv.ir/detail/2013/06/02/306799/iran-rejects-taliban-teams-visit/
http://www.tolonews.com/en/afghanistan/6097-iran-opens-chabahar-port-to-afghan-traders
http://www.iran.ru/rus/news_iran.php?act=news_by_id&_n=1&news_id=80096
http://www.longwarjournal.org/archives/2010/12/exclusive_isaf_captu.php

მარიამ გურეშიძე

ჰიზბ ალლაჰი და სამოქალაქო ომი სირიაში

სირიაში განვითარებული უკანასკნელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ "ჰიზბ ალლაჰი" აქტიურად ჩაერთო აჯანყებულების წინააღმდეგ მიმართულ საბრძოლო ოპერაციებში. ორგანიზაცია სახელისუფლებო ჯარებს სტრატეგიულ ობიექტებზე კონტროლის დამყარებასა და პოზიციების შენარჩუნებაში ეხმარება.

ჰიზბ ალლაჰი (ჰეზბოლა) არაბულ ქვეყნებში ყველაზე წარმატებულ წინააღმდეგობის მოძრაობად ითვლება და ყველაზე საშიშ მტრად მიიჩნევა ისრაელისა და მისი მოკავშირეების მხრიდან. ის ისრაელის, აშშ-ის და კანადის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული, ხოლო დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიასა და ეგვიპტეში მისი შეიარაღებული ფრთა ტერორისტულ დაჯგუფებადაა მიჩნეული.

ჰიზბ ალლაჰის მთავარ ამოცანას ისრაელის ქმედებებისთვის წინააღმდეგობის გაწევა წარმოადგენს, იქნება ეს შეიარაღებული, საინფორმაციო თუ სხვა საშუალებებით. საკუთრივ ისრაელის სახელმწიფო კი ჰიზბ ალლაჰის ლიდერების გამოსვლებსა და ოფიციალურ ტექსტებში მოიხსენიება, როგორც „სიონისტთა დანაშაულებრივი ქმნილება" (كين الغصب الصهون- *ქაინ ალ-ღასბ ას-საჰუნა*).

ჰიზბ ალლაჰი ლიბანელ შიიტთა დაჯგუფებაა. მისმა წევრებმა სამხედრო მომზადება ირანის რევოლუციური გვარდიის დახმარებით გაიარა. ჰიზბ ალლაჰი შეიარაღებას, ფინანსურ და ორგანიზაციულ დახმარებას ირანისგან ღებულობს, ხოლო დიპლომატიურ, პოლიტიკურ და ტექნიკურ თანადგომას – სირიისგან. ორგანიზაცია ისრაელის წინააღმდეგ მებრძოლ პალესტინურ დაჯგუფებებს ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევს. ასევე უზრუნველჰყოფს ერაყის კოალიციის წინააღმდეგ მებრძოლი ერაყელი შიიტი ბოევიკების მომზადებასაც.

ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანში წარმოებული სამხედრო ოპერაციების შემდეგ, ჰიზბ ალლაჰის სამხედრო ძალაუფლება მკვეთრად გაიზარდა. როგორც აღინიშნა, ჰიზბალლაჰის ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის განვითარება ირანისა და სირიის დახმარებით მოხდა. მათ ლიბანის ბა'ალბექის რაიონში დაიწყეს ფართო სამხედრო ქსელის შექმნა. ათასობით აქტივისტი და ორგანიზაცის წევრი ცხოვრობს ასევე ბექაას დაბლობში. ეს რაიონები წარმოადგენენ ბაზებს ადგილობრივი შიიტი მოსახლეობიდან დამატებითი აქტივისტებისა და მებრძოლების რეკრუტირებისათვის. ისრაელის სპეცსამსახურების მონაცემების თანახმად, 2004 წლის დასაწყისში „ჰიზბ ალლაჰს" 10 მოტომსროლელი და 6 ქვეითი ბატალიონი ჰყავდა (საერთო ჯამში – 4000 მებრძოლი) და 5 ათასი რეზერვისტი.

2013 წლის აპრილის შუა რიცხვებში „ჰიზბ ალლაჰის" ლიდერ ჰასან ნასრალასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებები გაიმართა. ინფორმაცია ამის შესახებ ქუვეითის გაზეთ „ალ–რაიში" გამოქვეყნდა. მოლაპარაკებებზე განიხილეს სირიასთან, ერაყთან, ირანსა და ლიბანთან დაკავშირებული ვითარება. შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნებისმიერ ფასად დაეცვათ სირიის ტერიტორიაზე არსებული შიიტურ რელიგიურ–კულტურული ძეგლები. სირიის „თავისუფალი არმიის" ერთ-ერთ მიზანს კი შიიტური სიწმინდეების დანგრევა წარმოადგენს, რომელსაც სალაფიტები „კერპთაყვანისცემის სიმბოლოდ" მიიჩნევენ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საჭირო იყო თავდაცვიდან შემტევ ომზე გადასვლა. ირანის გენერალიტეტი თვლიდა, რომ სირიაში ირანელი ჯარისკაცების გაგზავნა აუცილებელი იყო.

მართლაც, ირანის 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ირანმა სირიაში 4000 ჯარისკაცის გაგზავნა გადაწყვიტა. გადაწყვეტილება გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც აშშ-მა განაცხადა, რომ განახორციელებს სირიაში აჯანყებულების დახმარებას. ამ განცხადებას საფუძვლად ედო პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ერთგული შეიარაღებული ძალების მიერ აჯანყებულების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება. არსებობს მოსაზრება, რომ ირანი ამ გადაწყვეტილებით გოლანის სიმაღლეებზე ახალი ფრონტის გახსნას აპირებს.

2013 წლის 4 მაისს ჰიზბ ალლაჰის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა იბრაჰიმ ამინ ას-საიდმა განაცხადა, რომ ჰიზბ ალლაჰის ბოევიკები იბრძვიან პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მხარეს და მათ მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში დასავლეთისა და ისრაელის გავლენის თავიდან აცილება: „ჩვენ ვიმყოფებით სირიაში ლიბანელი ხალხის ღირსების შენარჩუნებისათვის და ისლამური სიწმინდეების დასაცავად“ [1; 2; 3; 4; 5; 19].

სირიის ქალაქ ქუსაირში განვითარებული მოვლენების შემდეგ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ჰიზბ ალლაჰს მოუწოდა სირიიდან საკუთარი მეომრების გამოყვანისკენ და განაცხადა, რომ მათი მხრიდან პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მხარდაჭერა ომის გაფართოების საშიშროებას ქმნის. ასეთივე მოწოდება იყო საუდის არაბეთში გამართული სპარსეთის ყურის ქვეყნების მინისტრების შეხვედრაზეც. მათი მოთხოვნით, უნდა გაორმაგდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა სირიის კრიზისის დასასრულებლად და შეწყდეს სისხლისღვრა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა, ჯენიფერ პსაკიმ გააკრიტიკა ლიბანის შიიტური ორგანიზაციის ლიდერის ჰასან ნასრალას გამოსვლა, რომელმაც დაადასტურა, რომ მისი მეომრები სირიაში იმყოფებიან და ომის დასრულებამდე დარჩებიან. ჰამასის პოლიტბიუროს წევრმა მუსა აბუ მაზრუკმა, რომელიც კაიროში ცხოვრობს, ასევე მოუწოდა ჰიზბ ალლაჰს სირიიდან ჯარების გამოყვანისკენ [6; 9; 10; 12; 17].

ქალაქ ქუსეირში (რომელიც სირია-ლიბანის საზღვართან მდებარეობს) მიმდინარე ბრძოლებში ჰიზბ ალლაჰის მონაწილეობა საფრთხეს ქმნის, რომ ეს დაპირისპირება შემდგომში სუნიტურ-შიიტურ რელიგიურ კონფლიქტში გადავა. რადგან სირიაში მებრძოლი აჯანყებულების უმრავლესობა სუნიტია, მმართველი ხელისუფლების უმრავლესობა კი ისლამის ალავიტურ ფრთას მიეკუთვნება (შიიზმთან დაახლოებულს), ხოლო მოძრაობა ჰამასი სუნიტებისგან შედგება.

ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ სირია და ლიბანი რადიკალი ისლამისტებისაგან (სუნიტებისგან) წამოსულ საფრთხეს შეეჯახნენ. ნასრალას სიტყვებით, ამგვარი შეთქმულება ისრაელის სასარგებლოდ შეერთებული შტაბებისგან და მისი მოკავშირეებისგან მომდინარეობს. თავის მხრივ, ჰიზბ ალლაჰმაც პალესტინის სუნიტურ დაჯგუფება „ჰამასს“ ლიბანის ტერიტორიის დაუყოვნებლივი დატოვებისაკენ მოუწოდა. როგორც ცნობილია, ჰამასის შეიარაღებული ფრთა სირიის აჯანყებულების მომზადებას ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ ჰამასი და ჰიზბ ალლაჰი, განსხვავებული რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, დიდი ხნის მანძილზე პარტნიორულ ურთიერთობას ინარჩუნებდნენ. ამ ორ დაჯგუფებას ისრაელის მიმართ მტრობა აკავშირებს. ურთიერთობა კი სირიაში დაწყებული აჯანყების შემდეგ გაუარესდა, სადაც ჰიზბ ალლაჰი ხელისუფლების მხარეს დადგა, ხოლო ჰამასი აჯანყებულებს ეხმარება. სირიაში იმყოფებიან ასევე ლიბანელი სალაფიტები და „სირიის თავისუფალ არმიასთან“ ერთად იბრძვიან ბაშარ ალ-ასადისა და ჰიზბ ალლაჰის წინააღმდეგ. ლიბანელ სალაფიტებს ასევე ადანაშაულებენ „ალ-კაიდასთან“ კავშირში.

„დემოკრატიის დაცვის კვლევითი ფონდის“ ვიცე–პრეზიდენტის, ჯონათან შანცერის განცხადებით, გასულ წელს ჰამასმა დამასკოში არსებულ შტაბ–ბინაზე უარი განაცხადა ირანთან არსებული დაძაბული ვითარების გამო. ჰამასი სუნიტი სპონსორებისგან (როგორიცაა კატარი და თურქეთი) იმაზე მეტ დახმარებას იღებს, ვიდრე ირანისგან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პალესტინელებმა, რომლებიც სიდონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე აინ ალ-ჰილვეს ლტოლვილთა ბანაკში იმყოფებიან, ჰიზბ ალლაჰის მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული

დახმარება დაწვეს. ამით მათ ჰიზ ბალლაჰის მიერ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მხარდაჭერა გააპროტესტეს [7].

ქუსეირში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, გაერო–ს უშიშროების საბჭოს სხდომა ჩატარდა. რუსეთმა 2013 წლის 1 ივნისს გაერო–ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაცია დაბლოკა. დოკუმენტის მისაღებად კი ერთიანი მხარდაჭერა არის აუცილებელი. რუსეთის მხარემ უკმაყოფილება გამოხატა, რადგან თავის დროზე, როდესაც აჯანყებულებმა ქალაქი ქუსეირი დაიკავეს, უშიშროების საბჭომ რეაგირება არ მოახდინა.

ქალაქ ქუსეირისთვის ბრძოლა 2013 წლის მაისის შუა რიცხვებიდან მიმდინარეობდა. ბრძოლა ერთი მხრივ აჯანყებულებს და მეორე მხრივ სამთავრობო ძალებსა და ჰიზბ ალლაჰის მებრძოლებს შორის მიმდინარეობს. ქუსეირის მოსახლეობა 30 ათას ადამიანს შეადგენს. ქალაქ ქუსეირს სტრატეგიული მნიშვნელობა არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, არამედ აჯანყებულებისთვისაც აქვს. იგი წარმოადგენს პირველ პუნქტს, საიდანაც აჯანყებულები ლიბანიდან ფულად დახმარებას და შეიარაღებას იღებენ. ხელისუფლების ჯარებმა მოკავშირე ჰიზბ ალლაჰთან ერთად 2013 წლის 5 ივნისს მოახერხა ქუსეირის აღება. ალყაშემორტყმული აჯანყებულები ვერ ახერხებდნენ დაჭრილების გაყვანას და საკვების მიღებას. სირიის მხრიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „გამარჯვება, რომელიც სირიელი ჯარისკაცების მიერ იქნა მიღწეული, წარმოადგენს მესიჯს ყველა იმ ძალის მიმართ, რომლებიც სირიის წინააღმდეგ ომში იღებენ მონაწილეობას“. ჰიზბ ალლაჰის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ქალაქის აღება ღამით, სწრაფი შეტევით განხორციელდა. აჯანყებულები მეზობელ სოფლებში დაბაასი და ბუვაიდში გაიქცნენ [8; 11] .

ქუსეირში განვითარებულ მოვლენებს აჯანებულების მხრიდან მორიგი შეტევა მოჰყვა. ამჯერად სამიზნე ისრაელის საზღვართან მდებარე (გოლანის მაღლობზე) საკონტროლო-გამშვები პუნქტი „კუნეიტრა“ წარმოადგენდა. საზღვარი 1974 წელს დადგინდა. სირიის აჯანყებულებმა, გოლანის მაღლობზე არსებული სირია-ისრაელის ერთადერთი საზღვარი ჩაიგდეს ხელთ. ქალაქ კუნეიტრაში განთავსებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბაზაზე ერთი ჭურვი ჩამოვარდა. შედეგად, ერთი ადამიანი დაშავდა. საბოლოოდ, საბრძოლო მოქმედებების შედეგად, სირიის სახელისუფლებო ჯარებმა „კუნეიტრაზე“ კონტროლი აღადგინეს.

ისრაელი სირიის კონფლიქტში არ ერევა, თუმცა ოფიციალურ ისრაელს არაერთხელ გამოუთქვამს შეშფოთება აჯანყებულების მხრიდან გოლანის სიმაღლეების შესაძლო დაპყრობასთან დაკავშირებით. ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებით, არსებული ვითარებით შესაძლოა რადიკალმა ისლამისტებმა ისარგებლონ და მათი მხრიდან ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელდეს ტერაქტები. ხელისუფლებამ სამოქალაქო პირებს „კიბუც აინ ზივანის“ დაბაში გადასვლა აუკრძალეს, რომელიც საზღვრის ზონიდან 100 მეტრის დაშორებით მდებარეობს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამხედროებმა ასევე დაბლოკეს გზის 98-ე მონაკვეთი, რომელიც „ალონი ჰაბაშანიდან“ „კიბუც აინ ზივანამდე“ არის მიდის [13; 14; 16; 18].

კუნეიტრაში მყოფმა ოპოზიციის ჯგუფის წარმომადგენელმა აბუ ჯაფარმა „ალ–ჯაზირასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი დაჯგუფების მებრძოლები ისრაელს არ შეუტევენ, თუკი ისრაელი სირიაზე თავდასხმას გადაწყვეტს. ლიბანის პრეზიდენტმა მიშელ სულეიმანმა ჰიზბალლაჰს სირიიდან მებრძოლების გამოყვანისკენ მოუწოდა, რადგან არსებობს საშიშროება, რომ ომით გამოწვეული რელიგიური დაძაბულობა ლიბანსაც შეეხება. მიშელ სულეიმანი მარონიტი-ქრისტიანია. მისი დამოკიდებულება სირიაში არსებული მოვლენების მიმართ (2011 წლიდან დაწყებული) საკმაოდ კრიტიკულია. მან არაბული ლიგის ქვეყნებს მემორანდუმი გაუგზავნა, სადაც სირიის მხრიდან ლიბანის სუვერენიტეტის დარღვევის დასრულებას მოითხოვს. ანალოგიური ნოტა ბეირუთში გაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობასაც[20].

გამოყენებული მასალები:

http://www.nctc.gov/site/groups/hizballah.html
http://en.wikipedia.org/wiki/Hezbollah
http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90_(%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98)
http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Terrorism/hizbollah.html
http://www.investigativeproject.org/profile/131
http://www.jpost.com/Middle-East/US-calls-on-Hezbollah-to-pull-fighters-out-of-Syria-314762
http://www.jpost.com/Middle-East/Report-Hezbollah-orders-Hamas-out-of-Lebanon-314850
http://lenta.ru/news/2013/06/02/blocked/
http://www.aljazeera.net/news/pages/bfac6e66-ff04-4c50-b56c-3f88c35ad8c7
http://www.almasryalyoum.com/node/1808436
http://www.jpost.com/Middle-East/Syria-Victory-in-Qusair-is-a-message-to-the-Zionist-enemy-315519
http://www.aljazeera.net/news/pages/f3934cb8-493d-48b4-b134-e90ea9ee4849
http://www.aljazeera.net/news/pages/d2713202-bd2f-4432-a776-a35caeb2f8c5
http://www.jpost.com/Defense/IDF-confirms-rebels-rout-Assads-forces-in-Quneitra-315631
http://www.aljazeera.net/news/pages/e57efcf5-2f27-400e-992b-f5c497a544d4
http://www.almasryalyoum.com/node/1818926
http://lenta.ru/news/2013/06/17/callson/
http://www.jpost.com/Defense/Syrian-army-retakes-Golan-crossing-point-from-rebels-315673
http://www.jpost.com/Middle-East/Report-Iran-sending-4000-troops-to-aide-Assad-in-Syria-316680
http://www.jpost.com/Middle-East/Rebels-We-wont-attack-Israel-if-it-invades-Syria-317280

თინათინ კუპატაძე

შირინ ებადი - ნობელის პრემიის ლაურეატი
პირველი მუსლიმი ქალი

შირინ ებადი ირანსა და მუსლიმურ სამყაროში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ადამინის უფლებათა დაცვის სფეროში, რომელიც 2003 წელს ნობელის კომიტეტმა ნობელის მშვიდობის პრემიით დააჯილდოვა, როგორც ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლი მოსამართლე, ადვოკატი, ლექტორი, მწერალი და აქტიური საზოგადო მოღვაწე. [1]

შირინ ებადიმ თავისი აქტიური მოღვაწეობა სამართლის სფეროში 1969 წელს, იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, დაიწყო. მან ჯერ მოსამართლის ტიტული მიიღო, ხოლო მოგვიანებით, 1975 წელს, თეირანის საქალაქო სასამართლოს პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა, სწორედ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ ფაჰლავიანთა დინასტია მართავდა და რომლის დროსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ადამინის უფლებებისა და განსაკუთრებით ქალთა უფლებების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სწორედ ამ პერიოდში ღებულობს ებადიც მოსამართლის სტატუსს. მაგრამ შირინ ებადიცა და მისი ოჯახიც იმ ინტელექტუალთა ბანაკში აღმოჩნდნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ შაჰის პოლიტიკას, გაეტარებინა ქვეყანაში პრო-დასავლური, მოდერნისტული რეფორმები, უქმნიდა რა ეს უკანასკნელი საფრთხეს ქვეყნის ნაციონალურ ღირებულებებს, კულტურასა და რელიგიას. ებადიც, სხვა ინტელექტუალთა მსგავსად, იმ აზრს იზიარებდა, რომ დასავლეთი ხშირ შემთხვევაში სულაც არ იყო პროგრესისა და თავისუფლების მომტანი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რეჟიმის წინააღმდეგ წარმართულ კამპანიაში და ირანელ ქალებთან ერთად თავისი წვლილიც შეიტანა ისლამური რევოლუციის გამარჯვებაში, რომელიც ირანელი ხალხისთვის იყო სიმბოლო ახალი ცხოვრებისა და მეტი თავისუფლებისა. მაგრამ რევოლუციის გამარჯვებიდან სულ რამდენიმე თვეში რევოლუციამდელი დაპირებები წარსულს ჩაბარდა და ქვეყანამ საზოგადოებრივი ცხოვრების რიგ სფეროებში რეგრესი განიცადა. საგრძნობლად შეიზღუდა ქალთა უფლებები, დაწესდა სქესთა სეგრეგაცია სამუშაო ადგილებზე, ქალებს ჩამოერთვათ მოსამართლეობის უფლება, ჩადრის ტარება სავალდებულო გახდა, აიკრძალა ოპოზიციური აზრის დაფიქსირება. სწორედ ამ პოსტრევოლუციურმა ცვლილებებმა შეიწირა შირინ ებადის მოსამართლეობა. სასულიერო პირთა განცხადებით, ისლამი კრძალავდა ქალის მოსამართლეობას. აქედან მოყოლებული 1993 წლამდე ებადის მოსამართლედ მუშაობის საშუალება აღარ ჰქონია, მაგრამ მას ეს დრო უქმად არ დაუკარგავს, წერდა წიგნებს და აქვეყნებდა სტატიებს პერიოდულ გამოცემებში. აქედან იღებს სათავეს შირინ ებადის, როგორც ადამიანის უფლებათა თავგამოდებული დამცველის, მოღვაწეობა. [2]

შირინ ებადი განსაკუთრებულ აქცენტს ქალების, ბავშვებისა და ლტოლვილების უფლებებზე აკეთებს, როგორც ქვეყნის სოციუმის ყველაზე დაჩაგრულ ფენაზე. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ებადი სათავეში უდგას ადამიანის უფლებათა დაცვის კამპანიას ირანში, მან დააარსა ორი არასამთავრობო ორგანიზაცია დასავლური დაფინანსებით - ბავშვთა უფლებათა დაცვის საზოგადოება და ადამიანის უფლებათა დამცველი ცენტრი. იგი ასევე მონაწილეობდა ბავშვებზე ფიზიკური ძალადობის წინააღმდეგ მისაღები კანონის ორიგინალი ტექსტის შედგენაში, რომელიც 2002 წელს დამტკიცდა ირანული მეჯლისის მიერ. გარდა ამისა, შირინ ებადი, როგორც მოსამართლე, აქტიურად ცდილობდა დაეცვა იმ საზოგადო მოღვაწეთა თუ დისიდენტების ინტერესები, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით ექმნებოდათ პრობლემები სასამართლოსთან. სხვადასხვა დროს იგი იცავდა შემზარავი მკვლელობის მსხვერპლი ლიბერალი ინტელექტუალების დარიუშ და ფარვანე ფორუჰარის, სტუდენტური დემონსტრაციების დროს მოკლული სტუდენტის

- ეზათ ებარჰიმ ნეჟადის, ევინის ციხეში ცემით გარდაცვლილი კანადელი ჟურნალისტის ზაჰრა ქაზემის და სხვ. ოჯახების ინტერესებს; ასევე - ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტების უფლებებს. ამჟამად იგი წარმოადგენს ირანელი ადვოკატის, ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი აქტივისტის, ნასრინ სოთუდეს ოჯახს, რომლიც 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განვითარებული დემონსტრაციების დროს დააკავეს და უკვე მეოთხე წელიწადია უსამართლოდ იხდის სასჯელს. ებადი ასევე აქტიურად ითხოვს ოპოზიციის ლიდერების - მირ ჰოსეინ მუსავის, ზაჰრა რაჰნავარდისა და მეჰდი ქარუბის გათავისუფლებას, რომლებიც 2011 წლის შემდეგ დე ფაქტო შინაპატიმრობაში იმყოფებიან: „მოვუწოდებ ყველა თავისუფლების მოყვარე ადამიანს მსოფლიოს მასშტაბით, რომ გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ ირანის სინდისის პატიმრების გასათავისუფლებლად...“.[2] ებადის აქტიურობას ამ კუთხით, მართალია, ჯერ შედეგი არ გამოუღია, მაგრამ დასაშვებია ოპოზიციის ლიდერების ბედი სასიკეთოდ ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც გადაწყდეს. [3].

შირინ ებადის სამართლიანობისათვის ბრძოლის გზაზე არაერთხელ დაუყენებია თავი საფრთხის ქვეშ. 1999-2000 წლებში ებადის მცდელობა, თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტებზე თავდასხმის ორაგნიზატორები და შემსრულებლები გამოეაშკარავებინა ფირზე ჩაწერილი აღიარებითი ჩვენების საშუალებით, მისი დაპატიმრებითა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ჩამორთმევით დასრულდა. სწორედ ასეთი ხმაურიანი პროცესების შემდეგ გაიზარდა მსოფლიოს ადმინის უფლებათა დამცველი ორაგნიზაციების ყურადღება როგორც შირინ ებადის, ისე ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის მიმართ, რაც 2003 წელს შირინ ებადისთვის ნობელის მშვიდობის პრემიის გადაცემით დაგვირგვინდა. ამ ფაქტმა მსოფლიო საზოგადოების გაკვირვება გამოიწვია, რადგან პრემიის მთავარ პრეტენდენტად სიკვდილის პირას მყოფი რომის პაპი - იონე პავლე II - მოიაზრებოდა. ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება მაშინვე პოლიტიკურად მოინათლა და პარალელები გაევლო მიხეილ გორბაჩოვისა და ლეხ ვალენსას ნობელის პრემიით დაჯილდოების ფაქტებთან. აქტიურად ესმებოდა ხაზი ალფრედ ნობელის მრწამსს, რომ პრემია უნდა გადაეცეს იმ ადამიანს, რომელმაც სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო ერებს შორის, წვლილი შეიტანა საომრად გამზადებული არმიების უკან დასახევად ან უზრუნველყო სამშვიდობო მოლაპარაკებების მოწყობა, რასაც ადგილი არ ჰქონია შირინ ებადის მოღვაწეობის მანძილზე.

შირინ ებადის მიერ ნობელის პრემიით დაჯილდოებას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა ირანშიც. მხოლოდ რეფომისტთა ნაწილმა მიულოცა მას ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა. პრეზიდენტმა ხათამიმ არათუ ოფიციალური მილოცვისაგან შეიკავა თავი, არამედ განაცხადა, რომ ჯილდო უფრო ფასეული იქნებოდა, ებადის ის რომ მიეღო ლიტერატურულ ან სამეცნიერო დარგში მიღწეული წარმატებისათვის. [4] ამ განცხადებით მან, რა თქმა უნდა, კლერიკალების გულის მოგება უფრო სცადა, ვიდრე თავისი რეალური განწყობის გამოხატვა. ვინაიდან მისთვის, როგორც რეფორმატორი პრეზიდენტისთვის, შირინ ებადის წარმატება მისასალმებელი უნდა ყოფილიყო.

შირინ ებადის დაჯილდოების ცერემონიალი არც სახელმწიფო ტელევიზიებს გადაუციათ პირდაპირ ეთერში. ეს იყო ერთგვარი პროტესტი იმ მუსლიმი ქალისადმი, რომელიც ფართო საზოგადოების წინაშე ჩადრის გარეშე წარსდგა და ერთგვარად „შელახა“ ისლამის პრინციპები.

ნობელის პრემიის მიღების შემდეგ შირინ ებადის პოპულარობა საკმაოდ გაიზარდა. თუ 2003 წლამდე მსოფლიოსა და თვითონ ირანშიც მის შესახებ საზოგადოების მცირე ნაწილმა იცოდა, ახლა უკვე ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მთელ მუსლიმურ სამყაროში. სწორედ ამ წარმატებამ მისცა მას შესაძლებლობა, რომ მეტი თავდადებით გაეგრძელებინა ბრძოლა აღნიშნულ სფეროში სასურველი მიზნების მისაღწევად. როგორც ნობელის კომიტეტმა აღნიშნა, ეს არის პირველი პრიზი, რომელიც მუსლიმ ქალბატონს გადაეცა თავდაუზოგავი ბრძოლისათვის ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწეობისათვის. [5]

ნობელის პრემიის გადაცემის საღამოზე შირინ ებადი კომიტეტის წინაშე წარსდგა თავისი ნაშრომით - „დემოკრატია, ადამიანთა უფლებები და ისლამი თანამედროვე ირანში: სოციალური და კულტურული პერსპექტივები“, სადაც ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულებები და განხილული დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ისტორიული და კულტურული საფუძვლები კიროსიდან და დარიოსიდან მოყოლებული მოსადეყის მმართველობამდე.

ებადი შეეცადა ეჩვენებინა საზოგადოებისათვის, რომ ისლამი არც ისეთი „საშიში“ და „სასტიკი“ რელიგიაა, როგორც ცდილობენ მის წარმოჩენას სხვადასხვა რეჟიმები. „მას შემდეგ, რაც ირანში ისლამი შემოვიდა, ირანული კულტურა და ცივილიზაცია გაიჟღინთა ჰუმანიტარიზმით, სიცოცხლისა და სხვების რწმენის პატივისცემით, ტოლერანტობისა და ძალადობის, სისხლისღვრისა და ომის დაგმობის პროპაგანდით. ამის მაგალითად მან მოიყვანა სპარსული პოეზიის წარმომადგენლების - ჰაფეზის, მოულანას, საედის, სანაის, ნიზამის... შემოქმედება, რაც მართლაც ჰუმანური იდეებითაა სავსე და ვერ იპოვი აგრესიას. [6]

შირინ ებადი იმ ინტელექტუალთა და საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ემხრობიან ისლამის რეინტერპრეტაციით ქვეყანაში პროგრესული რეფორმების გატარებას ისე, რომ არ შეილახოს არც ერთი სქესის უფლებები და კანონის წინაშე ყველა ერთნაირად იყოს თანასწორი. ებადი დაუშვებლად მიიჩნევს ისლამისა და დემოკრატიის ერთმანეთთან შეუთავსებლობის თეორიას. „ის, რომ ისლამს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების ღირებულებებთან არ შეუძლია თანაარსებობა, მხოლოდ დესპოტური მთავრობების მიერაა გამოგონილი, რადგან ძნელია მართო ხალხი, რომელიც გაცნობირებულია საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებში... დემოკრატია უნივერსალური სტანდარტია და ის ყოველი რელიგიისა და ცივილიზაციის კომპონენტია... ის არ ცნობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ის უბრალოდ ხალხის სურვილია. დემოკრატიის მოდელები არ არსებობს, ის ერთია!“ [4,6]

ებადის აზრით, ქალთა უფლებების დარღვევაც ისლამურ ქვეყნებში, იქნება ეს სამართლის, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული სფერო, სათავეს იღებს პატრიარქალურ კულტურაში და არა ისლამში. იმ კულტურაში, რომლისთვისაც მიუღებელია თავისუფლება და დემოკრატია, რომლისთვისაც მიუღებელია ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობა... [6]

მართალია, ირანში დღეს ქალთა მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ებადი მაინც თვლის საჭიროდ აქტიურ მოქმედებას, ქალების უფლებების გასაუმჯობესებლად. ის, რომ ირანის უმაღლესი სასწავლებლების 66%-ს ქალები შეადგენენ და ისინი მეჯლისშიც არიან წარმოდგენილი, არაა საკმარისი. მამაკაცს კვლავ შეუძლია ოთხი ცოლის მოყვანა, განქორწინება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ქალს კვლავ სჭირდება ქმრის ნებართვა სამოგზაუროდ წასასვლელად, სასამართლოებშიც ისევ ორი ქალის მოწმეობა ერთი მამაკაცის მოწმეობას უსწორდება, ხოლო უმუშევარი ქალების რაოდენობა 4-ჯერ აღემატება უმუშევარი მამაკაცების რაოდენობას. მაგრამ ქალების დიდ ნაწილს ჩუმად ყოფნა ურჩევნია იმის გამო, რომ კანონს ქვეყანაში ისლამი განსაზღვარვს, რაც ებადისთვის დაუშვებელია. ისლამი აქ არაფერ შუაშია, მთავარი ის პატრიარქალური სამყაროა, რომელიც ისე ახდენს ისლამის ინტერპრეტაციას, როგორც თავად სურს. ამის დამადასტურებლად ებადის საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტი მოჰყავს: „რევოლუციის შემდგომ ისლამის თანახმად ქალებს არ შეეძლოთ მოსამართლედ მუშაობა, რადგან ეს ისლამისთვის მიუღებელი იყო, ხოლო 20 წლის შემდეგ უცებ აღმოჩნდა, რომ ისლამმა დართო ქალებს მოსამართლედ მუშაობის ნება. აქედან გამომდინარე, ებადი იმ დასკვნამდე მიდის, რომ არ არსებობს „ჭეშმარიტი ისლამი“, არსებობს მხოლოდ მისი ინტერპრეტაციები“. [6]

შირინ ებადის მთავარი ამოცანაა ქვეყანაში მშვიდობიანი მოქმედების გზით შეცვალოს მდგომარეობა და ასევე მშვიდობიანად გადაიდგას ნაბიჯები ქვეყნის პროგრესული განვითარებისათვის. ამ თემაზე საუბრისას იგი არ მალავს დასავლური სამყაროსადმი კრიტიკულ

დამოკიდებულებას, რომელიც სამხედრო მოქმედებებით ცდილობს აღმოსავლეთის ქვეყნებში დემოკრატიის იმპორტსა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას. მისი აზრით, დემოკრატია უნდა დამყარდეს ქვეყნის შიდა ძალების გაერთიანებითა და ძალისხმევით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით და არა სამხედრო ძალის ჩარევითა და დამპყრობლური პოლიტიკით. რეფორმისტები და მუსლიმი ინტელექტუალებიც სწორედ ამის გამო ცდილობენ მსოფლიო ყურანის სწორ ინტერპრეტაციას, რათა შემდგომ ერთიანი ძალით წინ აღუდგნენ გარეშე ძალას, რომელიც დემოკრატიის იმპორტის პირბადეს ამოფარებული ცდილობს საკუთარი ინტერესების გამყარებას რეგიონში. მთავარია, „მუსლიმებმა შეისწავლონ სწორი ისლამი და მიხვდნენ, რომ სამოთხის გასაღები მხოლოდ ისლამური ჯგუფებისა და სახელმწიფოს ხელში არ არის... შეუძლებელია ერი და სახელმწიფო ძალით გახადო ბედნიერი ან სამხედრო ძალის გამოყენებით დაამყარო დემოკრატია“. [5]

როგორც ნობელის პრემიის მიღებამდე, ისე მის შემდეგაც შირინ ებადის გამუდმებით საფრთხის ქვეშ უწევდა მოღვაწეობა. იგი ყოველთვის ქვეყნის ხელისუფლების ნების წინააღმდეგ მოქმედებდა და არაერთხელ მიუღია გაფრთხილება მაღალჩინოსანი პირებისაგან. მის წინააღმდეგ ზეწოლა განსაკუთრებით გაიზარდა 2008 წლიდან, როდესაც ის დათანხმდა 7 დაპატიმრებული ბაჰაიტის ოჯახების ინტერესების დაცვას. [7] ირანის უსაფრთხოების სამსახურმა დახურა 2001 წელს დაარსებული ადამიანის უფლებათა მხარდამჭერი ცენტრი. ირნა–ს სააგენტომ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ებადის ბრალი ედებოდა ბაჰაიტებთან თანამშრომლობაში, დასავლეთისაგან დახმარების მიღების ძიებაში, ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვაში და ა.შ. სწორედ ამ პერიოდში გაჟღერდა ინფორმაცია ებადის საბანკო ანგარიშების გაყინვისა და მისთვის ნობელის პრემიის ჩამორთმევის შესახებ რევოლუციური სასამართლოს მიერ, რაც დაუყოვნებლივ უარყო ირანის ხელისუფლებამ.

2009 წელს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ძლიერ გამკაცრდა კონტროლი ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ აქტივისტებზე, მათ შორის, შირინ ებადიზეც. იგი იღებდა არაერთ შეტყობინებასა თუ მოკვლის მუქარას, თავი დაენებებინა ანტისახელისუფლებო, „ანტიისლამური“ პროპაგანდისათვის. ამ გაფრთხილებებს ებადიზე არასოდეს უმოქმედია, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ მან დატოვა ირანი, რადგან სრულ შესაბამისობაში მოდიოდა მისი პრინციპები ქვეყნის ხელისუფლებასთან. იგი დღემდე ცხოვრობს და მოღვაწეობს ლონდონში და კვლავ აქტიურად განაგრძობს ირანში ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლას და საერთაშორისო ორგანიზაციებს მუდმივად ახსენებს ირანში შექმნილ მდგომარეობას. იგი გაერო–ში აგზავნის ოფიციალურ წერილებს, სადაც აშუქებს სხვადასხვა პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკური პრობლემები და ვითარება ირანში, მუშახელის არახელსაყრელი სამუშაო პირობები, პატიმრებისა და განსაკუთრებით ევინის ციხის პატიმრების უფლებათა შელახვა და ა.შ. [8]

გარდა ზემოაღნისშნულისა, ებადი ასევე ხშირად საუბრობს ირანის ბირთვულ პროგრამასა და მის წინააღმდეგ ამერიკისა და გაეროს მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებზე. ებადი ამ საკითხს, პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა დარღვევის ჭრილში განიხილავს. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები პირდაპირ რიგითი ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება, ებადის აზრით, უმჯობესია აკრძალვების დაწესება უშუალოდ ქვეყნის ოფიციალური პირებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ქვეყნის საზღვრების დატოვება, მათი პირადი ანგარიშების დაბლოკვა და ა.შ., და არა მთლიანად ქვეყნისათვის. [9]

მიუხედავად იმისა, რომ ებადი ანტისახელისუფლებო განწყობით გამოირჩევა, იგი მხარს უჭერს ირანის ბირთვულ პროგრამას და საჯაროდ იცავს მას, როგორც ნაციონალურ სიამაყეს. იგი დაუშვებლად მიიჩნევს პროგრამის შეჩერებას, ამიტომ გამოსავლად მხოლოდ ირანისა და ამერიკის მშვიდობიანი მოლაპარაკებები ესახება.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში რეფორმისტული ძალების მოსვლას ებადი ჯერ არ გამოხმაურებია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მისი და ახალი ხელისუფლების ხედვა რიგ საკითხებში ერთმანეთს დაემთხვევა, არაა გამორიცხული, რომ შირინ ებადი სამშობლოში დაბრუნდეს.

გამოყენებული წყაროები:

1. http://uk-mg42.mail.yahoo.com/neo/launch?.rand=7qa2kb6jfhh8e
2. http://www.womeninworldhistory.com/imow-Ebadi.pdf
3. http://www.iranhumanrights.org/2012/01/ebadi-campaign/
4. http://progressive.org/mag_intv0904
5. http://www.bbc.co.uk/persian/pressreview/story/2004/05/040515_bt-am-baltimoresun-ebadi.shtml
6. http://www.nobelprize.org/nobel_prizes/peace/laureates/2003/ebadi-lecture-fa.pdf
7. http://news.bahai.org/story/650
8. http://www.radiofarda.com/content/news/24329365.html
9. http://www.radiofarda.com/content/f35_Gedmin_FP_Ebadi/1927722.html